საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 5 ნოემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედ. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 252 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 252

გულდათუთქულნი: მეუღლე ვარლამ ათანასეს ძე მეგრელიშვილი და დედა სულავასი სურმავას ასული აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ, რომ 8 გიორგობისთვეს (ახალი სტ.) ნახარებავოს მონასტრის გალავანში (მარტვილი, სენაკის მაზრა) გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ოლღას

წლის თავის აღსანიშნავად (2887—2—2)

მამა ვასილი ბოგდანის ძე, დედა ნინო პეტრეს ასული და ძმები: ალექსანდრე, შალვა და ანდრო ვასილისძენი მალაშხიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, 5 ნოემბერს დიდუბის ეკლესიის გალავანში დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფას სამხედრო მფრინავის კაპიტანი

გრიშა (გერტი) მალაშხიასი

პანაშვიდი დაიწყება დილის 10 საათზე. (2893—2—2)

მფრინავთა გუნდის უფროსი, ოფიცრები და ჯარისკაცები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 5 ნოემბერს დიდუბის ეკლესიის გალავანში დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი მფრინავ კაპიტან

გრიშა მალაშხიასი

პანაშვიდი დაიწყება დილის 10 საათზე. (2893 2—2)

დაჩაგრული მამა ისიდორე ივანეს ძე ტაბიძე, დედა პისტი. ხახულის ასული, ბაბუები და ბიძები: ივანე გაბრიელის ძე, ხახულა სიმონის ძე, ილიტა და ეკა, ბიძები. გრიგოლი, გიორგი, ვასილი და დათიკო გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის და მეორის უძვირფასესი შვილი, მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს და მეექვსის შვილის შვილი; მეშვიდეს, მერვეს და მეცხრეს ძმის შვილი, მეათის დის შვილი საყვარელი

შოთა (შალვა)

რომლის გამოსვენებ ს და დასაფლავების დღე დანიშნულია 6 ნოემბერს ნაშუადღევის პირველ საათზე სოფელ ქუვიში, დაკრძალვა მოხდება იმავე სოფლის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში. (ფ. ნ.—ნ.)

ქართველ მხატვართა
საზოგადოების შემოდგომის გამოფენა

1) ქართველ მხატვართა საზოგადოება მართავს მხატვართა

საერთო გამოფენას

2) გამოფენაზე მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მხატვარს.
3) გამოფენაზე მონაწილეობის მოსურნე მხატვარი ვალდებულია ჩაიწეროს განსაკუთრებულ სიაში საზოგადოების სადგომში (რუსთაველის პრ. № 13) ნოემბრის 4—10 მდე, 5 საათიდან 7 საათამდე.
ა) კომისიის მიზანი არის შეძლება მისცეს მხატვართ გამოფენაზე შეჯგუფებისა მიმართულების მიხედვით.
4) გამოფენისთვის სურათების მიღება ხდება ნოემბრის 10—15 მდე, დღის 12 საათ.—2 საათამდის.
5) ვერნისაჟის დღე გამოცხადებული იქნება საგანგებოთ.
ა) განსაკუთრებული მოწვევის ბარათები მხატვრებს არ დაეგზავნებათ.
გამოფენის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე შ. ქიქოძე.
მდივანი დ. შევარდნაძე. (ნ. 3—1)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

მთავარ სამმართველო

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით ხუთით ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბე ბიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან. (2901—14—1)

სალიტერატურო, სამეცნიერო, საპოლემიკო და საკოოპერაციო ჟურნალი „შვიდი მნათობი" № 2.

ამოცემა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა, ფასი 75 მან. საწყობი მოთავსებულია გლდანის შესახვევი, საკუთარი სახლში № 15. მოიკითხეთ ადგილობრივ წიგნის მაღაზიაში. (2900—1—1)

მომხმარებელ საზ. „აღორძინების"

რწმუნებულთა არჩევნები

დანიშნულია 3, 4 და 5 ნოემბერს. ხმის მიცემა იწარმოებს საზოგადოების მაღაზიებში. წევრებმა ხმა უნდა მისცენ ან იმ მაღაზიაში, რომელიდანაც საქონელს ღებულობენ, ანდა რომლის ახლო ისინი ცხოვრობენ. ბიულეტენებს მსურველნი იღებენ იქვე მაღაზიებში საწევრო წიგნაკის წარდგენის შემდეგ (2869—2—2)

ავგუსტ ბებელის თხზულება

ქალი და სოციალიზმი

იყიდება „ერთობის" რედაქციაში და ვ. რუხაძის სტამბაში ილ. დარახველიძესთან.

ფასი 50 მანეთი. (ნ. 2—2)

საქართველო-სომხეთის შეთანხმება

უდიდესი მნიშვნელობის აქტი მოხდა ვენს ცხოვრებაში 3 ნოემბერს. საქარ ველოსა და სომხეთის რესპუბლიკათა ორის მოლაპარაკება მკვიდრ ნიადაგზე დგა. დასაწყისი კარგ ნიშნებს იძლე ა. მშვიდობიანობისა და კეთილმეზობლობის იდეა ხორცს ისხამს. საქმე სწორ გზაზე დგება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ამ გზით ივლის და დაგვირგვინდება ისე, როგორც ამას მოითხოვს ყველა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დემოკრატიის ინტერესები. ჯერ ჯერობით საქართველო და სომხეთი შეთანხმდა ორ კითხვაზე. პირველი ეხება ტრანზიტის საქმეს. საქართველოს უფლება ეძლევა სრულიად უბაჟოთ გაზიდოს და შემოიტანოს საქონელი სომხეთზე გავლით. ასეთივე თავისუფალი ტრანზიტის უფლება ეძლევა სომხეთს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოსთვის ამ ხელშეკრულებას არ აქვს იმდენი მნიშვნელობა, როგორც სომხეთისათვის, ვინაიდან ჩვენ რესპუბლიკაში ცოტა რამ შემოდის სომხეთის რკინის გზით. სამაგიეროთ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ აქტს სომხეთისათვის. ის ამდენ ხანს თითქმის კარჩაკეტილი იყო. სომხეთის უმთავრესი საარსებო ძარღვები გადის საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს დემოკრატიამ გადასწყვიტა არ აგებინოს პასუხი სომხეთის ხალხს იმ ბოროტებისათვის, რომელიც მათმა მეთაურებმა ჩაიდინეს წარსულში. შურისძიება არ ეგუება დემოკრატიის ბუნებას და ისიც ძმური ხელით აღებს იმ კარებს, რომლის უკან ჩაკეტილი იყო და იტანჯებოდა სომხეთის ხალხი. შეთანხმებას ტრანზიტის შესახებ თითქმის მხოლოდ ერთი მხარისათვის, სომხეთისათვის, აქვს უდიდესი რეალური შედეგები. თუმცა ეს აქტი არ არის მოკლებული ეკონომიურ მნიშვნელობას მთელი ამიერ-კავკასიისათვის; და როდესაც აღერბეიჯანსა და სომხეთს შორისაც დაიდება ასეთი ხელშეკრულება, მაშინ ამიერ კავკასიაში ეკონომიური ძალების თავისუფალ განვითარებას მეტი ხსნა და სარბიელი მიეცემა. კიდევ უფრო უპრიანესი იქნებოდა ყველასათვის, რომ არამც თუ სატრანზიტო თავისუფლება, არამედ სადამოჟნო კავშირიც, რომ შეკრულიყო ამ სამ რესპუბლიკათა შორის, მაგრამ ეს მომავლის კითხვაა და ამაზედ შემდეგ. ის რაც უკვე გაკეთდა, ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ მიზნისაკენ გადადგმული.

მოხდა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელოვანი შეთანხმება არბიტრაჟის შესახებ. საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკები სდებენ ურთიერთ შორის მტკიცე პირობას, რომ ყოველივე სადაო საკითხი, რომელიც დღეს არსებობს ან მომავალში ექნება ადგილი ამ ორ სახელმწიფოთა შორის უნდა შეთანხმებით გადაწყდეს, ანდა სავალდებულო არბიტრაჟის საშუალებით. ეს დემოკრატიის პრინციპის გამარჯვებაა. სომხეთის მესვეურნი ბოლოს და ბოლოს იძულებულნი შეიქმნენ დასთანხმებოდენ ამ პრინციპს და ჩვენც გულწრფელათ შეგვიძლია მიულოცოთ ეს მოვლენა სომხის ხალხს. ამ ხელშეკრულების აზრი და მიზანია, რომ ამიერიდან საქართველოსა და სომხეთს შორის იარაღი ვერ იმუშავებს, სადაო კითხვათა გადაჭრაში სისხლი და რკინა უკუგდებულ უნდა იქნას. ეს ხელშეკრულება დემოკრატიის უდიდესი გამარჯვებაა, ეს მისი ძვირფასი მონაპოვარია. და აწი მასზე ჰკიდია ამ ხელშეკრილების დაცვა. მან მთელი თავის ძალღონით უნდა უდარაჯოს ამ მონაპოვარს, რათა ის ხალხის მტრებმა „ფარატინა ქაღალდათ" არ აქციონ. ეს ხელშეკრულება ის ძვირფასი იარაღია, რომლითაც მშვიდობიანის გზით უსისხლოთა და უცრემლოთ გადიჭრება ყველა სადაო საკითხები, და ამ იარაღს თვალის კაკალივით უნდა მოუაროს დაინტერესებულ სახელმწიფოთა დემოკრატიამ.

დღეს დღეობით დარჩა გადასაჭრელი სადაო კითხვა ტერიტორიის შესახებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კითხვაზე არ დაგვჭირდება არბიტრაჟი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საქმეშიაც საერთო ენა მოინახება. სომხეთის წარმომადგენელნი დააფასებენ იმ დათმობას, რომელიც იმათ მიიღეს ტრანზიტის საკითხში, სახელმძღვანელოდ გაიხდიან თავიანთ ხალხის გულისთქმასა და სურვილს და აღარ გააჭიანურებენ მოლაპარაკების დასრულებას. კარგი საქმეა არბიტრაჟი, მაგრამ ახალ რესპუბლიკათა პრესტიჟი და ინტერესები გადაჭრით გვიკარნახებს, რომ დღევანდელი საჭირბოროტო კითხვები ამოიწუროს და გადიჭრას ადგილობრივათ მშვიდობიანი, მეზობლური საშუალებით.

ის, რაც ჯერჯერობით მოლაპარაკებით გაკეთდა, დიდი საქმეა. სოლიდარობის იდეის გამარჯვებაა და მდგომარეობა ავალებს დემოკრატიას, რომ მან ძალა მოიკრიბოს, პირველი გამარჯვება განამტკიცოს და ამავე გზით წასწიოს წინ და შეთანხმებით დააგვირგვინოს მოლაპარაკების საქმე.

რას ვაკეთებთ?

ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა ბევრს არ მოსწონს. განსაკუთრებით ჩვენს ნაციონალ დემოკრატებს. მით ყოველი ჩვენი ნაბიჯი გულს ლახვარივით ესობა, გონებას უმღვრევს, აზროვნების უნარს უკარგავს, და ჩვენს წინააღმდეგ გააფთრებით ამხედრებს. რა ვუყოთ?

ჩვენ არც გვქონია სურვილი ნაციონალ-დემოკრატებს და მათ მონათესავე ჯგუფებს მოვწონებოდით. ჩვენი მიზანი არც ის იყო მეზობელ სახელმწიფოებს დავეჯიბრებოდით, ან ვინმესთვის მეტოქეობა გაგვეწია.

მთელი ენერგია და ძალა ჩვენი შემოქმედებისა ჩვენ ნაცვლათ ამისა—ჩვენი ხალხის, ახალი დემოკრატიული წყობილების ინტერესების დაცვა გვქონდა მთავარ მიზნათ.

და ამ მხრივ, გვგონია, არა მცირედი ნაბიჯი გადავდგით წინ. რომ დემოკრატიულ წყობილებას ჩვენში უფრო მკვიდრათ აქვს ჩაყრილი საფუძველი, რომ აქ უფრო ფართეთ არის თვით ხალხის მასსა ჩაბმული სახელმწიფოებრივ მუშაობაში, თუ არჩევნებით, თუ დემოკრატიულ თვითმართველობათა საშუალებით—ამას ვერავინ უარყოფს. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სწორეთ ეს გარემოება ართულებს რამდენიმეთ და აძნელებს ჩვენს მუშაობას.

საქართველომ განიცადა მთელი სიძლიერე და სიღრმე მიმდინარე რევოლიუციისა. მან დასცა ერთი კლასი და წამოაყენა მეორე. მეზობლებსა და გარეშე ერებს ასეთი რევოლიუციური გადატრიალება არ განუცდიათ. მათ მხოლოდ ჩამოშორდათ რუსეთის მთავრობა და გაუჩნდათ საკუთარი. მოხელენი უმეტეს შემთხვევაში დარჩენ ძველები. სოციალურ წყობილებაში კი არავითარი, ან თითქმის არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ცნობილია, რომ წეს-რიგის აღდგენა ძნელია იქ, სადაც თვით საფუძველი ყოფილი წესიერებისა, სოციალური ბაზისი ერთიანათ გადატრიალებულია, ხელ ახალი ბაზისის განმტკიცება შეიძლება მოხდეს, როგორც შედეგი ძალთა თავისუფალი და ხანგრძლივი ჭიდილისა. ამ თვალსაზრისით, ჩვენს მეზობლებს ბევრათ უკეთესი მდგომარეობა აქვთ, ვინემ ჩვენ. მათ არ შერყევიათ ძველი საფუძველი და წესიერების აღდგენა გარეგნული სახით ბევრათ უფრო ადვილია, ვინემ ჩვენში. მაგრამ სამაგიეროთ მათში საზოგადოებრივ რეფორმას ბევრათ უფრო სუსტი ნიადაგი აქვს ვინემ ჩვენში.

ჩვენი რესპუბლიკა დემოკრატიულია და რევოლიუციური და სწორეთ იმიტომ, რომ იგი ღრმა ცვლილებებს განიცდის რევოლიუციურ ტალღების ტრიალში. მეზობლები კი ამ ტალღათა გარედმიდან ცემას განიცდიან მხოლოდ და არა მის შინაგან დუღილს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბაქოს, სადაც რევოლიუციის ალი ოსმალთა ასკერების ხიშტებმა ჩაფერფლა და ბალშევიკების უაზრობამ გაანაცარმტვერა, სხვა ადგილებში ჩვენ ვერც ღრმა მოძრაობას აღვნიშნავთ, ვერც მის დაწყნარების პროცესს.

ამიტომ გასაკვირალი არაა, თუ ტალღები რევოლიუციის ჩვენში დღეს კიდევ ბობოქრობენ. ბალშევიკების გამოსვლა უკანასკნელ დღეებში ერთი ნიშანია ამ დაუცხრომლობისა. რევოლიუციური აზრი აქვს თუ რეაქციონური მასსიურ გამოსვლას და აჯანყებების მოწყობას, ეს არსებითად ერთ და იმავე რევოლიუციურ ნიადაგზე აღმოცენებული მოძრაობაა.

და მხოლოდ უგნურნი, ან განგებ თვალების დამხუჭველნი ვერ შეამჩნევენ ამ ძირითად განსხვავებას.

საქართველო უფრო დანაწილებულია კლასობრივათ და უფრო ღრმა სოციალურ წინააღმდეგობათა კალეიდისკოპს წარმოადგენს, ვინემ ჩვენი მეზობლები.

და ამიტომ აქ ახალი, დემოკრატიულ წესიერების აღდგენა ბევრათ უფრო ძნელია.

მეზობელ სახელმწიფოებში შეიძლება წესიერების აღდგენა ძველი აპარატის განახლებითაც. ჩვენში კი თვით აპარატის გარდაქმნა, ახალ დემოკრატიულ პრინციპზე აუცილებელია. ეს ახალი პრინციპია ხალხის მონაწილეობა სართველობაში.

აქედან საჭიროა ხალხი შეეჩვიოს თავის მართველობის, ადმინისტრაციის შექმნას, გაბედულს ხელმძღვანელობას. და ეს დიდი აღმზრდელობითი მუშაობა არ შეიძლება ორიოდე დღით გაიზომოს.

და თუ მიუხედავათ ამ ორგვარი სიძნელისა, ჩვენში დღეს ყველა დაბრკოლებები დაძლეულია, თუ ჩვენ სახელმწიფოს აპარატი წესიერათ ამუშავებულია და თავის მოვალეობას ასრულებს უკვე საკმაო სიძლიერით და სიმტკიცით ახერხებს, ეს უნდა მიეწეროს, რასაკვირველია, ჩვენი დემოკრატიის გამჭრიახობას და იმ მუშაობას, რომელიც მის განსავითარებლათ და პოლიტიკურათ გასაწვრთნელათ უწარმოებია სოც. დემოკრატიას ამ უკანასკნელ 20—25 წლის განმავლობაში და აწარმოებს დღესაც.

ჩვენ არ ვიტყვით, რომ ყოველივე დღეს უკვე მოწესრიგებული საბოლოოთ დამკვიდრებულია, არა, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს შესასწავლი, შესათვისებელი, ასაწონ-დასაწონი, ბევრი შემცდარი ნაბიჯები გვაქვს გამოსასწორებელი, ბევრი ახალი გზები გასავლელი, და ამ მხრივ ჩვენს დემოკრატიას დიდი მუშაობის წარმოება დასჭირდება. მაგრამ ერთი შეგვიძლია ახლავე თამამათ ვთქვათ: ჩვენი გეზი აღებული გვაქვს დემოკრატიზმისკენ და ამ გეზს ვერავინ შეგვაცვლევინებს. ჩვენ ვქმნით დემოკრატიულ წყობილებას, ვამკვიდრებთ დემოკრატიის ბატონობას, მტკიცე საფუძველზე ვაშენებთ იმ წესებს, რომელნიც გაუადვილებენ მასსას მომავალი სოციალიზმისთვის ბრძოლას. ჯერ არ გვაქვს დამთავრებული დემოკრატიული წყობილება, მარა მკვიდრი საფუძველი გვაქვს დემოკრატიისა და დიდი იმედიც მისი კედლების აშენებისა.

პროვოკატორები

ქალაქში და სოფლებში მრავალი პროვოკატორები დაძრწიან. ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს და ასე ხალხში ნერვიულ მდგომარეობას ქმნიან. პროვოკატორები რამდენიმე ჯგუფათ იყო. ერთი ნაწილი პროვოკატორებისა ასე ვთქვათ, იდეიური პროვოკატორებია. მათი მიზანია ხალხის ნერვები იყოს მუდამ დაჭიმული, აფორიაქებული სულიერათ, ვინძლო მოთმინება დაჰკარგოს, არსებული წყობილების წინააღმდეგ აჯანყდეს, ჯანყას შედეგათ მოჰყვეს ძველი მდგომარეობის აღდგენა და ასე თავის ბატონობა აღადგინონ. ამ ჯგუფს ეკუთვნიან უმთავრესად „შინაური" პროვოკატორები. არიან მეორე ჯურის პროვოკატორები, პროვოკატორები დაქირავებული. ჩვენ ვიცით, რომ ასეთ დაქირავებულ პროვოკატორთა რიცხვი მარტო თფილისში ორას კაცს უდრის. ესენი იღებენ თვიურ ჯამაგირს და მათი მოვალეობაა თხზან პოლიტიკური ჭორი და ხალხს მოჰფინონ. ისინიც დაძრწიან, თხზავენ ასეთ ჭორებს და უხვათ აპნევენ. დღეში ხშირათ ორსამ უცნაურ რამეს გამოიგონებენ და ასე საზოგადოება მუდამ შიშსა და ძრწოლის ქვეშ ჰყავთ.

დილას გაიგონებთ, რომ ინგლისელები მოდიან ამიერ-კავკასიის დასაპყრობათ. საღამოს ვრცელდება ვითომ ჩვენმა მთავრობამ პროტექტორატი ითხოვა. ხვალ კიდევ ახალი ცნობა—საქართველო რუსეთს უნდა შეუერთონ. ზეგ კიდევ—ინგლისმა მოითხოვა არსებული მთავრობის გადადგომა და მართვა-გამგეობის ნაციონალ დემოკრატებისათვის გადაცემა და ასე ყოველ დღე. აღსანიშნავია რომ ამ ჭორების გავრცელება ისეთი ნიუანსებით ხდება, რომ ბევრ გულუბრყვილოს მართლაც დააჯერებს.

დღეს კიდევ გაავრცელეს: ინგლისის მისიამ მოითხოვა სასახლეზე წითელი დროშის ჩამოხსნა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს დავტოვებო.

რა თქმა უნდა ყოველივე ეს ჭორია, ჭორი განზრახ შეთხზული, მარა საზოგადოებას, თუ ყველას არა, ნაწილს მაინც სჯერა და ეს იწვევს შფოთვას და მათი სულიერი სიმშვიდის დარღვევას. პროვოკატორებსაც სწორეთ ესეც უნდათ.

ასეთი პროვოკატორების წინააღმდეგ ბრძოლა მეტად ძნელია. მათი ალაგმვა კი აუცილებელია. ამიტომ ჩვენი საზოგადოების მოვალეობაა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, საზღვარი დაუდონ მათ თარეშს და ასე ხელი შეუწყონ ხალხის მშვიდობიან და მყუდრო ცხოვრებას.

განი.

უკანასკნელი ცნობები

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკათა შეთანხმება.

ქალაქი თფილისი 1919 წელი 3 ნოემბერი.

I

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე ბესარიონის ძე რამიშვილისა და საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის სვიმონ გურგენის ძე მდივანის მიერ ერთის მხრით და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა, წარმოდგენილი სტეფანე გრიგოლის ძე მამიკონიანისა და სომხეთის პარლამენტის წევრის სუმბათ არტემის ძე ხაჩატურიანის მიერ, მეორეს მხრით, გაეცვნენ ურთიერთ რწმუნებებს და იცვნეს რა ისინი ჯეროვანის სისწორით შედგენილად, დასდვეს შემდეგი ხელშეკრულება:

1) ყველა იმ საქონელზე, რომელიც შემოდის საქართველოში სომხეთ გარეშე მდებარე ქვეყნებიდან სომხეთის რკინის გზით, ანდა საქართველოდან სომხეთზე გავლით მიდის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე იმ საქონელზე რომელიც სხვა ქვეყნებიდან მიდის საქართველოს რკინის გზით სომხეთში, ანდა სომხეთიდან გაიზიდება საქართველოში გავლით, ყველა ამ საქონელზე წესდება თავისუფალი ტრანზიტი, ესე იგი უბაჟო ტრანზიტი.

2) ეს ხელშეკრულება იდება სამი წლის ვადით. ხოლო ერთი წლის შემდეგ დღიდან რატიფიკაციისა თითეულ მხარეს უფლება ეძლევა განაცხადოს სურვილი ხელშეკრულების გადათვალიერებისა, და ამ შემთხვევაში ხელშეკრულება რჩება ძალაში ექვსი თვის განმავლობაში დღიდან განცხადებისა. თუ ამ ვადის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდენ გადათვალიერების შესახებ, ხელშეკრულება ჰკარგავს ძალას.

3) ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოხდეს ქალაქ თფილისში ორი კვირის განმავლობაში.

4) ეს ხელშეკრულება იწერება ორ ცალათ.

II

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე ბესარიონის ძე რამიშვილის და საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგის სვიმონ გურგენის ძე მდივანის მიერ ერთის მხრით და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა, წარმოდგენილი სტეფანე გრიგოლის ძე მამიკონიანის და სომხეთის პარლამენტის წევრის სუმბათ არტემის ძე ხაჩატურიანის მიერ, მეორე მხრით, გაეცვნენ ურთიერთ რწმუნებებს და იცვნეს რა ისინი ჯეროვანის სისწორით შედგენილად, დასდვეს შემდეგი ხელშეკრულება:

1) რესპუბლიკა საქართველოსი და რესპუბლიკა სომხეთის ვკრავთ რა ამა პირობას, ვალათ ვიდებთ, რათა ამ ორ სახელმწიფოთა შორის არსებული და მომავალი სადაო კითხვები გადავსჭრათ შეთანხმებით, და თუ ეს შეუძლებელი იქნა, იმ შემთხვევაში სავალდებულო არბიტრაჟის საშუალებით.

2) ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოხდეს თფილისში ორი კვირის განმავლობაში.

3) ეს ხელშეკრულება სდგება ორ ცალათ.

დამფუძნებელი კრება

31 ოქტომბრის სხდომა.

(დასასრული)

გ. ჟუღელი: მოქალაქენო! მე მგონია, რომ ოპოზიცია არ მიიღებდა მთავრობის განცხადებას და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდა მთავრობას, მაგრამ დღეს სრულიად წინააღმდეგში დავრწმუნდი. ოპოზიცია, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან კმაყოფილია მთავრობის განცხადებით, თუმცა გზა და გზა იძლეოდენ შენიშვნებს წარსულ

დღეს

ჩრდილო ამერიკაში გაფიცვებია, გაფიცულია 500.000 მუშა. გერმანიის და ლიტვას შორის ხელშეკრულება დაიდო. ორივე მხრით ყოველგვარ შეტაკებების ასაცილებლად შესდგა შერეული კომისია.

პეტროგრადის ფრონტზე პეტერჰოფთან წითელმა ჯარმა აიღო ილინო, ხკულა და ზოლოტავო; გატჩინასთან წითელმა ჯარმა აიღო კუბიშკი და ბუივოლოვო. ლუგის შემდეგ წითელმა ჯარმა აიღო ხადგური პრეობრაჟენსკაია.

ცარიცინთან წითელი ჯარი იმარჯვებს.

წითელმა ჯარმა აიღო ქ. ლივნი (ორიოლის სამხრეთ აღმოსავლეთით).

წითელი ჯარი კურსკს უახლოვდება.

საქართველოსა და სომხეთს შორის დაიდო ხელშეკრულება თავისუფალი ტრანზიტის და ყველა სადაო საკითხების შეთანხმების გზით გადაწყვეტის შესახებ.

მოღვაწეობის შესახებ. მაგალითად ბ. კედიას ჰგონია, რომ ჩვენ წინად ბოლშევიზმის წინააღმდეგ იდეურად არ ვიბრძოდით. ეს მართალი არ არის. საქართველოს პარლამენტიდან დაწყებული დღემდე ჩვენ ყოველმხრივ ვებრძოდით ბოლშევიზმს, როგორც ანარქიულ მოძრაობას. მაგრამ თქვენ, (ანიშნებს მარჯვენა სექტორისკენ) სხვა რამ გაინტერესებთ, როდესაც ასეთს შენიშვნებს გვაძლევთ, უნდა იცოდეთ კი, რომ მთავრობას თქვენ ვერ გადმოქცემთ.

ბ. ლ. შენგელაიას განცხადება,—თითქოს მაქსიმალიზმი იხსნიდეს ჩვენს ქვეყანას არ არის მისაღები. მაქსიმალიზმი იყო რუსეთში, რომელიც დაამყარა ს.-რევოლიუციონერების პარტიული ფეტიშმა ვიქტორ ჩერნოვმა, და განა არ იცის შენგელაიამ თუ რა ბედი ხვდა მას?

რაც შეეხება მოძრაობის დახასიათებას „ოპერეტათ", ესეც უკბილო ოხუნჯობაა. გაზ. „ბორბამ" სხვა აზრით იხმარა ეს სიტყვა და არა ისე, როგორც ოპოზიცია ხმარობს. რომ შარშან მომხდარიყო ეს გამოსვლები დღევანდელი ფორმით, ცხადია საქმე ტრაგიკულ ხასიათს მიიღებდა; შარშან ცალცალკე გამოსვლები იყო, დღეს კი მთელს რესპუბლიკაში იფეთქა აჯანყებამ და ჩვენი სამხედრო ძალების წარმატებას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ გამოსვლები ადგილობრივი ძალებით იქნა ჩამქრალი.

მთავრობის მოქმედებაში ზოგიერთს ნაკლს ჩვენც ვხედავთ, მაგ. საშა გეგეჭკორი, ბელადი ჩვენი მოღალატეებისა დიდი ხანია შევიპყრეთ და დღესაც არ არის იგი შესაფერისად გასამართლებული.

რაც შეეხება ჩვენს ინტერნაციონალურ პოლიტიკას, რასაც აქ გვისაყვედურებენ რუსული სიმღერების შესახებ უნდა განვაცხადო, რომ სწორედ ამ პოლიტიკის შემწეობით ვიმარჯვებთ ჩვენ და არა გაზ. „კლდის" თანამშრომელთა გმირობით. (ტაში).

შ. მესხიშვილი. ბატონებო! მე მეგონა უფრო სხვანაირ, მშვიდობიან ხასიათს მიიღებდა კამათი, ვიდრე აქ მოვისმინე. მთავრობის განცხადება სხვა მხრივ უნდა ყოფილიყო განხილული: რად დასჭირდა ბ. მინისტრს დამფუძნებელ კრებაში გამოტანა იმისა, რაც ჩვენც და ხალხმაც, ერთსულოვნად მივანდევით მთავრობას. რა საჭიროა დღეს იმ ნდობის დადასტურება რასაც მთელი ხალხი ჰგრძნობს და ჰფიქრობს.

რესპუბლიკის წარმომადგენლობა გააუქმეს ვკითხები მინისტრს: რა იურიდიული მოსაზრებით, რომელი საერთაშორისო უფლების ძალით იმყოფება ამ ფაქტს შემდეგ საქართველოში დენიკინელთა მისია?

ნ. რამიშვილი: ბ. მესხიშვილის შეკითხვის გამო უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ დემოკრატიულ სახელმწიფოების წარმომადგენლები და მონარქიულ სახელმწიფოების კი არა. სახელმწიფოს წარმომადგენელთა განაწილებაში ასეთი შერჩევა არ არსებობს.

რაც შეეხება ჩვენი ადმინისტრატიულ ზომების „ოპერეტა" თ მონათვლას, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ საქმე უფრო სერიოზულ ხასიათის იყო, ვიდრე ეს აქ ჰგონიათ. მაგალითად მე თქვენ წაგიკითხავთ ფოთის მე 11 სამილიციო უბანში მიცემულ ჩვენების ქაღალდს, საიდანაც აშკარად სჩანს დიდი გეგმა მეამბოხეთა. ჩვენების ავტორი გვაუწყებს, რომ მეამბოხეთა რიცხვი 500 აღწევდა, მათს განკარგულებაში ყოფილა 18 ტყვიის-მფრქვეველი, 200 სამ ხაზიანი თოფი. მეამბოხენი უნდა შეკრებილიყვნენ ს. ნაბადაში შეუმჩნევლად და შემდეგ დაეკავებიათ ნავთსადგური და რამოდენიმე ხომალდი.

ასეთი დიდი გეგმით აპირებდნენ ისინი ფოთში გამოსვლას და რომ მათ ეს დასცლოდათ, აბა მაშინ ნახავდით „ოპერეტა" იქნებოდა თუ ტრაგედია.

საშა გეგეჭკორის შესახებ შემდეგი უნდა განვაცხადო: ჩვენ შევიპყარით ის და სასამართლოს გადავეცით. გასამართლება კი, ჩვენი საქმე არ არის. ვფიქრობთ, რომ გეგეჭკორი ღირსეულ სასჯელს მიიღებს.

რ. არხენიძე: მოქალაქენო! ჩვენმა მთავრობამ საოცრის სისწრაფით ჩააქრო ანარქია, მაგრამ ოპოზიციას მაინც მოაქვს იერიშები მარცხნიდან და მარჯვენიდან. ლ. შენგელიას ჰგონია, რომ მაქსიმალიზმის შეთვისებით ვიხსნით ქვეყანას. რუსეთი დააქცია მაქსიმალიზმმა და ასეთ ექსპერიმენტს ჩვენ ვერ მოვახდენთ საქართველოში.

გვაზავა გვირჩევს ნაციონალისტურ პოლიტიკის წარმოებას, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ძველი რუსეთი სწორეთ ამ პოლიტიკამ დაღუპა.

ჩვენ ვიბრძვით, ჩვენი დამოუკიდებლობისთვის, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის.

ნ. ნიკოლაძე (ადგილიდან) თქვენ ყოველთვის სახელმწიფოს ებრძოდით.

რ. არხენიძე ჩვენ არ ვებრძოდით დემოკრატიულ სახელმწიფოს.

ნ. ნიკოლაძე (ადგილიდან) თქვენ ყოველგვარ სახელმწიფოს ებრძოდით.

რ. არხენიძე როგორც ოპოზიცია ჰფიქრობს, ეს არ იყო უბრალო „ოპერეტა". ოპერეტად ის გახადა მთავრობის სასწრაფო ზომებმა და ეს უნდა აღენიშნათ ჩვენი მთავრობის სასახელოდ. მე მაქვს ერთერთი ბოლშევიკის წერილობითი საბუთი, საიდანაც აშკარად სჩანს, თუ რა გრანდიოზული გეგმა ჰქონდათ გამოსვლისა.

ეს საბუთი აღმოაჩნდა ერთ კომუნისტს, რომელიც დაიჭირეს მათი გამოსვლის მესამე დღეს. საბუთი იმდენათ საინტერესოა, რომ მისი სავსებით წაკითხვა საჭიროთ მიმაჩნია. (კითხულობს) „ძვირფასო ძმაო აკაკი! ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა, სხვადასხვა გარემოების გამო. თფილისში გამოსვლის წინა დღეს დაიჭირეს ყველა პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ სხვადასხვა პასუხსაგები სამხედრო მიზნები. ეს ერთი მხრივ მეორე მხრივ მთავრობამ გამოსვლის დღეებს დიდ ძალ საიმედო ძალებს მოუყარა თავი და ამგვარათ თბილისი გადაიქცა მიუდგომელ ციხე სიმაგრეთ. ამის გამო ამხანაგები იძულებულ იყვნენ გამოსვლები სხვა ხელსაყრელ დრომდე გადაედოთ რაიც ეცნობება ყველა ორგანიზაციებს ერთდროულად. აგრეთვე ხელი შეგვიშალა გაცემამ და მოღალატეობამ (შევიტყეთ კიდეც ვინც გაგვცა მაგალ. 23 ოქტომბერს 3 საათზე იყო უკანასკნელი გაერთიანებული სხდომა შტაბის და სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის. ამ სხდომაზე გადასწყდა გამოსვლა მოხდეს 24 ოქტომბერს დილის 4 საათზე, ამხანაგებს შორის ყველა როლები განაწილებული იყო. გათავდა თუ არა სხდომა ნახევარ საათის შემდეგ მთელი ადმინისტრაცია ფეხზე დადგა. ეს ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენა და ჩვენი ეჭვები გამართლდა კიდეც. საღამოს 6—7 საათზე შეპყრობილ იყვნენ ყველა წევრები სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტისა და შტაბისა გარდა 2 წევრისა რომლებიც შემთხვევით გადარჩენ. კერძოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ის დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც თანახმად გეგმისა ხელში უნდა ჩაგვეგდო, გამაგრებულ იქნენ, და ამგვარად გამოსვლა შეუძლებელი შეიქნა. მე სულ ფოთში ვიმყოფებოდი და ძლიერ მაწუხებდა სხვა რაიონების ბედი, მაგრამ მერე ცოტათი დავმშვიდდი, როდესაც შევიტყე, რომ არც თფილისში, არც გურიაში (თუმცა გურია უნდა გამოსულიყო, მაგრამ არ გამოვიდა იმიტომ, რომ შეატყობინეს ამის შესახებ სიტყვიერად). არც ქუთაისში (ქუთაისში არც ველოდით გამოსვლებს) არ იყო გამოსვლები სხვა რაიონებშიაც, რადგანაც შევეცადეთ გვეცნობებინა კავკასიის სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის გადაწყვეტილება— რომ გამოსვლები გადადებულ იქნა ხელსაყრელ მომენტამდე. ყოველივე ზე მოხსენებულიდან უნდა დავასკვნათ, რომ გამოსვლებისათვის წინასწარი მუშაობა არ იყო საკმაოთ შესრულებული, თუმცა ჩვენს განკარგულებაში საკმაო დრო იყო. უმთავრესი ის არის, რომ კონსპირატიული მხარე ყველაზე ცუდათ იყო დაყენებული. საჭიროა ამხანაგებო მიაქციოთ ამას ყურადღება და გაათკეცებულ ენერგიით ვემზადნეთ ახალ და უკანასკნელ იერიშებისათვის. ხაზ გასმით აღვნიშნავ და მივაქცევ თქვენს ყურადღებას ორგანიზაციულ და კონსპირატიულ მხარეს ჩვენი საქმისას. ემზადენით და უცადეთ კავკასიის კომიტეტის სპეციალურ დირექტივებს გამოსვლების შესახებ. საჭიროა დიდი სიფრთხილე და ენერგია. ვგზავნი ამ წერილთან ერთად 500,000 მან., რომლიდანაც 10000 მან. აბაშისათვის, 10000 მან. სენაკის რაიონისათვის და 10000 მან. ზუგდიდისათვის. გთხოვთ დაუყოვნებლივ და თუ შეიძლება ამ წერილის მომტანის ხელით გაგზავნოთ აბაშაში და სენაკში ფულები, რადგანაც მათ ერთი გროშიც არ აქვთ. მოიწერეთ რა კეთდება თქვენში.

კომუნისტური სალამით წევრი კავკასიის მხრის კომიტეტის რაფაელოვი

ფოთი, 27 ოქტომბერი, 1919 წ.

ამხანაგ ნადერეიშვილთან ლაპარაკის შემდეგ დამატებით გატყობინებ, რომ 50000 მან. ვიძლევი მთელი სამეგრელოს ორგანიზაციებისათვის და ამისათვის შესაძლებლათ მიმაჩნია ფული გაანაწილოთ ისე, როგორც საჭიროდ დაინახავთ.

იგივე რაფაელი".

ნიკო ნიკოლაძე. ბატონებო! მე მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ ამ საქმის შესახებ ჩემი აზრი. მიკვირს, რომ ყოველგან და ყველაფერში პარტიულ განხეთქილებას, პარტიულ შუღლს ჰქმნით! ეს გზა პოლიტიკური და იდეური ბრძოლისა, ძველია, ეს ეხლა უკვე ანარქრონიზმია. ნუ თუ არ არის დრო, რომ ახალ სოციალურ პოლიტიკურ პირობებს შევეგუოთ და დროის შესაფერისად ვიმოქმედოთ.

უკანასკნელი ხანების ამბოხება ჩვენს რესპუბლიკაში უნდა ითქვას, რომ „ოპერეტა" არ იყო, როგორც ეს ჰგონია გაზეთ „ბორბა" ს. აქ ადგილი ჰქონდა დიდი მაშტაბით განზრახულ აჯანყებას, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ ჯერჯერობით მარჯვეთ ჩააქრო იგი.

დასასრულ კრებამ მიიღო სოც. დემ. ფრაქციის რეზოლიუცია. დამფუძნებელი კრება იწონებს მთავრობის მოქმედებას, სავსებით კმაყოფილია მთავრობის პოლიტიკით და გადადის მორიგ საკითხებზე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

4 ნოემბერი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ნოემბრის 3. ლიონი. ნოემბ. 1 ამ ჟამად საფრანგეთში დიდი სიმცირეა მარილის, რომელიც პარიზის მაღაროებში გაქრა.

გერმანელებმა მოკავშირეთა აფიცრების ზედამხედველობით დაიწყეს ბაზელის პირდაპირ მყოფ ციხე იშტეინის განიარაღება. ეს ციხე რაიონის შვეიცარიის ნაპირებს ზედ დაჰყურებდა და ბაზელისთვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა.

ნაუენი. ნოემ. 2. გერმანიისა და ლიტვის შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალით დამყარებულია ნეიტრალური ზონა. სად. რაშეიდისკი, მის დაცლამდე დროებით გერმანელების ხელში რჩება. ორივე მხრით შეტაკების ასაცილებლად შესდგა შერეული კომისია.

მოსკოვი. სამხედრო ცნობა. არხანგელსკენ რკინის გზის რაიონში ყველა იერიში მოვიგერიეთ, რომელსაც ძლიერი არტილერიის დახმარებით აწარმოებდა მტერი. გატჩინოს ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 ვერსზე კუბიშკი და ბუივოლოვი ავიღეთ; აქ წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ დავლა. შეტევას განვაგრძობთ. შეტევას მარჯვეთ ვავითარებთ. დამატებითი ცნობებით, ლუგის აღების დროს დიდი ძალი ტანისამოსი და სურსათი წამოგვიღია. ლუგასთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბრიგადის სარდალმა ხუდსკიმ, პოლკის უფროსმა სტეპანოვმა და სამხედრო კომისარმა როზენბლიუმმა. ფასტოვთან ბრძოლაა. სევსკის რაიონში მკაცრი ბრძოლებია. დმიტრევსკის რაიონში მარჯვედ წინ მივიწევთ. სად. კომარიჩზე ხელთ ვიგდეთ გენ. დროზდოვსკის სახელობის ჯავშნიანი მატარებელი. კურსკისკენ რკინის გზის გასწვრივ და მის დასავლეთით მკაცრი ბრძოლებია; მტერი მოზხამულ გაზიან ყუმბარებს ხმარობს და დიდ წინააღმდეგობას გვიწევს; რკინის გზის აღმოსავლეთით კი მარჯვედ წინ მიგვიწევთ. ჩვენი ჯარი ბრძოლით 5 ვერსზე მიუახლოვდა აღმოსავლეთით [illegible] ნის ცხენოსანმა ჯარმა ზამლიან-კის სამხრეთით მოწინააღმდეგე სძლი და წინსვლას განაგრძობს. ვორონეჟის სამხრეთ დასავლეთით ჩვენი ჯარი დონზე გადავიდა დასავლეთისკენ შეტევას განაგრძობს. ბორისოგლებსკის რაიონში სად. პოვარიო ავიღეთ. ნოვოხოპერის რაიონში მტერი საჩქაროდ უკან იხევს. უსტ მედვედიცის რაიონში მტერი ვსძლიეთ და ნიჟნი ხოპერისკენ მივიწევთ. ცარიცინის რაიონში ბრძოლით სოსნოვე ავიღეთ და მტრის მკაცრი კონტრიერიშები მოვიგერიეთ. ცარიცინთან მკაცრი ბრძოლებია. ჩორნი იარის რაიონში ზუბოვკასთან მარჯვე მანევრით მტერს შემოვერტყით და მკაცრი ბრძოლით შემდეგ ეს სოფელი ავიღეთ, ტყვეთ წამოვიყვანეთ 32 აფიცერი და 800 ჯარისკაცი, ხელთ ვიგდეთ შვიდი ზარბაზანი, 6 ტყვიის მფრქვეველი, ...თები ყუმბარებით და სხვა დავლა.

ურალსკ-გურიევის გზა-ტკეცილის აღმოსავლეთით ჩვენ წინ მივიწევთ და გადავრივართ მდ. ურალსკის სამხრეთით 45 ვერსზე. პეტროპავლოვსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 25 ვერსზე ჩვენი ჯარი წინ მიიწევს, წამოიყვანა 300-ზე მეტი ტყვე, ხელთ იგდო 6 ზარბაზანი და 8 ტყვიისმფრქვეველი. პეტროპავლოვსკის ჩრდილოეთით 526 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელთ ვიგდეთ 3 ტყვიისმფრქვეველი და სხვა დავლა. ქ. იშიმისკენ ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და ქალაქს სამხრეთიდან 40 ვერსით და დასავლეთიდან 60 ვერსით მიუახლოვდა, ჩვენ მხარეზე მრავალი გადმოვიდა. კოლჩაკის ჯარი უწესრიგოდ და სწრაფად უკან იხევს. ტობოლის რაიონში ჩვენი შეტევა კვლავ წინდებურად ვითარდება.

პეტერბურგი. 3 ნოემ. წითელმა ჯარმა როპშა და გატჩინო აიღო. ქ. ლუგის აღებმა ჯარმა ქალაქის ჩრდილოეთი სადგური პრეობრაჟენსკაია აიღო.

ნიკოლაევი, ნოემბ. 2. დონის რო ტოვში ოქტ. 19, გაიხსნა საზოგად მოღვაწეობის თათბირი. თავმჯდომა რედ არჩეულ იქნა რია ბუშინსკი, რო მელმაც ამ ყრილობას უწოდა მოსკო ში სრულად რუსეთის ვაჭრობა მრ წველობის წინამორბედი. მისალმები დეპეშები გაუგზავნეს კოლჩაკს და ნიკინს. სასურსათო მოხსენებაში ხადებული იყო, რომ პური ისეთი სათია რომლის გაზიდვა შეიძლება რომ მხოლოდ პურის გაზიდვით შე ლება უცხოეთის საქონლის მიღება კრებამ პურის გაზიდვით აუცილებლო აღიარა.

სიმბოლიზმი ქართულ ლიტერატურაში

წერილი მეორე.

განსვენებულ კიტა აბაშიძის აზრით სიმბოლიზმმა კარგა ხანია შემოდგა ფეხი ჩვენს ლიტერატურაში. კრიტიკოსი სწერს: „ვაჟა გახდა ჩვენს ლიტერატურაში სიმბოლიზმის მეთაურად, რომლის ნასახი მოიპოვება უკვე ილიასა და აკაკის პოეზიაში" ო*).

საზოგადოდ კიტა აბაშიძეს თავის ეტიუდებში ბევრი შეუსაბამო აზრი აქვს გამოთქმული ქართული ლიტერატურის შესახებ. ზემო ნათქვამიც ასეთ აზრებს უნდა მივაკუთნოთ. თქმა იმისი, რომ ვაჟა ფშაველა სიმბოლისტი იყო—პირდაპირ გაუგებრობაა. ხოლო ილიასა და აკაკის პოეზიაში ვისაც სიმბოლიზმი მოეჩვენება, იმან არ იცის, რა არის სიმბოლიზმი და ან რაიმე წინგანზრახულ შემცდარ აზრის მიხედვით მსჯელობს. ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში განსვენებულ კრიტიკოსს ერთი წინდაწინ ამოჩემებული აზრი უშლიდა ხელს; ეს აზრი იმდენად ძლიერი იყო მასში, რომ ხშირად აშკარა შეცდომასაც კი ადენინებდა.

საქმე იმაში გახლავსთ, რომ კიტა აბაშიძე მიმდევარი იყო ფრანგ კრიტიკოსის ბრიუნეტიერისა და მისი მეთოდის—ევოლიუციონურის—მიხედვით არჩევდა ჩვენს ლიტერატურას. ბრიუნეტიერს ჩვენ აქ ვრცლად ვერ შევეხებით, მოვიყვანთ მხოლოდ კიტა აბაშიძის სიტყვებს, რომლითაც იგი მოკლეთ გვაცნობს ამ მეთოდს: „როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში არის გვარი, ლიტერატურული ჟანრი, ფორმა. ეს გვარი, ჟანრი, ფორმა, როგორც ბუნების ყოველი ნაწარმოები, იბადება, იზრდება და მერე კვდება და გარდაიცვლება სხვა მონათესავე გვარად" **). მაგ. უწინ სწერდენ ეპოპეებს, მერე გადავიდენ რომანზე, რომანი მოკლე მოთხრობად იქცა და სხვ. კლასიციზმს თავისი ფორმა ჰქონდა, სანტიმენტალიზმს და რომანტიზმს კიდევ თავისი და ასე ბოლომდის. გამოდის, თითქოს ყოველგვარი ლიტერატურული ფორმა ემორჩილება მხოლოდ თავისივე თავს და იცვლება არა ცხოვრების ცვალებადობასთან ერთად, არამედ თავისივე შინაგანი კანონების მიხედვით. თითქოს ეპოპეისა და ჩვენი დროის წვრილი მოთხრობების ფორმების შექმნაში შესაფერი და გადამწყვეტი როლიც კი არ უთამაშნია ამა თუ იმ ეპოქას არსებულ რეალურ პირობებს.

ბრიუნეტიერის აზრითო—გვეუბნება კ. აბაშიძე—არსებობს საერთო „ევროპის ლიტერატურა", ამ ლიტერატურის ესა თუ ის საერთო მიმართულება, ხოლო სხვადასხვა ერის, ქვეყნის ლიტერატურა ამ საერთო ლიტერატურის და მისი საერთო მიმართულების კერძო, თავისებური გამომსახველია. ამა თუ იმ ხანაში ერთი და იგივე სტილი, ერთი და იგივე იდეალი ასულდგმულებს მთლად მთელი ევროპის ლიტერატურას და კერძოდ ამ ევროპის ლიტერატურის შემადგენელ ნაწილებსაო... ამ კანონს ექვემდებარება მთლად ჩვენი ლიტერატურა მე 19 საუკუნეშიო*)—დაასკვნის კრიტიკოსი.

როდესაც თითონ კიტა აბაშიძის ეტიუდებს ჩაიკითხავთ, თქვენ აშკარად დარწმუნდებით, რომ ჩვენი ლიტერატურის იდეალი არსებითად განირჩევა ევროპის ლიტერატურის მიმდინარეობიდან—იქ სხვა საკითხებს დასტრიალებენ და აქ კიდევ სხვას,—მაგრამ ამას რომ დი დაგიდევსთ წინააღმდეგობაში გახლართული კრიტიკოსი, მისი მიზანია გაამართლოს ბრიუნეტიერის თეორია და ჩვენს მწერლებსაც ამის და მიხედვით უკრავს თავს ამა თუ იმ ლიტერატურულ სკოლაში. კიტა აბაშიძეს უნდა დაამტკიცოს, რომ ჩვენი ლიტერატურაც სწორეთ ევროპის ლიტერატურასავით ვითარდებოდა—იყო რომანტიზმი. მერე რეალიზმი, ნატურალიზმი, ნეო-რომანტიზმი, სიმბოლიზმი—და ამ შეხედულების გასამართლებლად ხან ამ მწერალს წაატანს ქოჩორში ხელს და თავისებურათ გადავარცხნის და ხან იმას.

აი ამ წინად აკვიატებულმა აზრმა შეიყვანა იგი შეცდომაში, როცა ვაჟა და რამდენიმეთ ილია და აკაკიც კი სიმბოლისტებად გამოაცხადა, ხოლო სხვა მწერლების განხვილის დროს, იონა მეუნარგიას თქმის არ იყოს (გ. ერისთავის ბიოგრაფიაში), იმდენი მიმართულება აღმოაჩინა, რამდენიც მწერალი გვყავს.

ჩვენი ახალი ლიტერატურა გასული საუკუნის მესამოცე წლებში იწყებს აღორძინებას; ეს ის დროა, როცა ევროპის ლიტერატურული მიმდინარეობანი თითქმის დავაჟკაცებულ დამთავრებულნი იყვნენ, გარდა სიმბოლიზმისა—და ჩვენი ახლად ფეხადგმული და ღარიბი მწერლობაც ხან ერთ მიმართულებას ბაძავდა და ხან მეორეს. მას მზად დახვდა სხვადასხვა ფორმები და ისიც შეძლების დაგვარად ხმარობდა მათ. ამიტომაა, რომ ზოგი ჩვენი მწერალი, მაგ. ილია—ხან რომანტიკოსია და ხან კიდევ რეალისტი. „გლახის ნაამბობი" წმინდა რომანტიული ნაწარმოებია, „კაცია—ადამიანი" კი რეალისტური, ხოლო იმავე ავტორის „ოთარაანთ ქვრივი"—დაწერილი 87 წ.—ხელახლად რომანტიულია. ვის გინდათ მიაკუთნოთ ილია. რომანტიკოსია, თუ რეალისტი?

ბრიუნეტიერის მეთოდი შეიძლება სხვა ლიტერატურის შესახებ იხმაროს კაცმა, თუმც ეგ შრომა უნაყოფო იქნება,—ჩვენში კი მას გასავალი არ შეიძლება ჰქონდეს. ხოლო თუ ვინმე მოინდომებს მის გამართლებას ჩვენის ლიტერატურით, ის ისეთნაირადვე დაიწყებს ბორძიკს და სიმართლის ღალატს, როგორც ეს კიტა აბაშიძეს მოსდის.

II

კიტა აბაშიძემ გადასწყვიტა აღმოჩინა ჩვენს ლიტერატურაში სიმბოლიზმი და კიდეც აღმოაჩინა. მაგრამ ამ აღმოჩენას მან ბევრი რამ შესწირა და უმსხვერპლა.

თავის ეტიუდების კრებულის მეორე ტომის 187—8 გვ. განსვენებული კრიტიკოსი ასე ახასიათებს სიმბოლიზმს: „სიმბოლისტების აზრით, მწერალი ყურმახვილი, სმენა-გაფაქიზებული არსებაა, რომელსაც ესმის ჰარმონიული მუსიკა მსოფლიოსი აქ, სადაც უბრალო მომაკვდავი ვერ ხედავს ვერაფერს გარეშე გარეგანის ნაჭუჭისა, რომელიც მის თვალში მარტო უფერულობისა და უარარაობის გამომხატველია. „პოეტსო", ამბობს საუკეთესო წარმომადგენელი სიმბოლიზმისა მეტერლინგი „შეაქვს ჩვეულებრივი ცხოვრების გამოსახვაში რაღაც, რომლის დასახელება საძნელოა და რომელიც მხოლოდ მგოსანთა საიდუმლოს შეადგენს. შეახებს თუ არა ხელოვანი თავის მადლიან ხელს და ცხოვრებაც გამოგვიცხადდება თავისის მრავალფეროვნებითა და სიდიადით, თვალწინ აღგვემართება იგი **ცხოვრება უხილავ და გამოუცნობელ ძალთა მონად და მორჩილად,** მისი მოვლენანი **უსაზღვრო კავშირით არიან შედუღებულნი,** მის მიმდინარეობას დარაჯად უდგია დიდებულებით **შემოსული უბედურება.** (ხაზი ყველგან ჩვენია) ამგვარად რომელიმე დალტატებული ქიმიკოსი ჰიქაში ჩააწვეთებს ხოლმე რაღაც საიდუმლო წვეთს და წამს წმინდა წყლის მაგიერ გამოგვიჩნდება მთელი მსოფლიო კრისტალებისა, მანამდის კი ჩვენ ჰიქაში არა შეგვიმჩნევია რა, თუ **არ წმინდა წყალი".**

ამ გრძელი ამონაწერიდან აშკარაა, რომ სიმძიმის ცენტრი პირველად ჩვენ მიერ ხაზგასმულ სიტყვებშია, ე. ი. იქ, სადაც ლაპარაკია ხელოვანის მიერ ცხოვრების უხილავ და გამოუცნობელ ძალთა შეცნობის შესახებ, რომელთა მონა და მორჩილია მთელი ჩვენი ცხოვრება. მეტერლინგის აზრით—აი ეს შეუცნობელი ძალა, ჩვენს გარეშე მომქმედი და ჩვენი ცხოვრების უხილავი წინამძღოლი, ანუ ბედისწერა უნდა შეგვაგნებინოს და გვაგრძნობინოს ხელოვანმა, მთელი მისი ყურადღება აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. ხელოვნურმა ნაწარმოებმა ადამიანს უნდა აჩვენოს მისი სიუძლურე და აგრძნობინოს, რომ იგი **უძლური** მონაა ზე ქვეყანაში მყოფ ბედისწერი**სა,** რომლის განგებას ვერსად წაუვა იგი. მაგრამ ეს ამონაწერი ასეთ ნაირად როდი ესმის კიტა აბაშიძეს, რომელსაც სიმძიმის ცენტრი იმ წმინდა წყალზე გადმოაქვს, რომელიც მეტერლინკმა აზრის უფრო ნათელსაყოფად შესადარებლად იხმარა. „წმინდა წყალი,—ხსნის კიტა აბაშიძე—ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებაა. საკმაოა მგოსანმა თავისი შემოქმედების გენიოსობის ფრთა შეახოს ამ ცხოვრებას და იგი გარდაიქცევა მოჯადოვებულ და მომხიბვლელ სურათად, რომელიც ღრმა გრძნობებსა და ფიქრებს აუშლის ყოველსავე მჭვრეტელს. ამგვარად ხელოვანი თავისებური, ერთგვარი შემოქმედია, ღვთაებრივის ძალით მოსული არსება, რომელიც უფერულს მრავალფეროვანადა ჰქმნის და მარტივს ართულებს, უმნიშვნელოს ღრმა აზრს და ღრმა სულს უდგამს".

დამეთანხმებით, რომ სიმბოლიზმი აქ სისწორით არ არის განმარტებული: მისი დედა ძარღვი დავიწყებულია, სული და გული ამოღებულია და ყურადღება მეორე ხარისხოვან განმარტებაზეა მიქცეული. თუ რისთვის განმარტა კიტა აბაშიძემ ასე ყალბად სიმბოლიზმი, ამას ქვევით დავინახავთ. ახლა კი თითონ მეტერლინკი ვალაპარაკოთ და გავიგოთ თუ როგორ ესმის სიმბოლიზმი—ისე, როგორც ჩვენმა კრიტიკოსმა განმარტა თუ სხვაგვარად. მორის მეტერლინკი (ბელგიელი მწერალი) ერთ დროს ამ ლიტერატურული მიმართულების დედა ბურჯად ითვლებოდა და მართლაც რამდენიმე საგულისხმო ხელოვნური ნაწარმოები შექმნა მან ამ ფორმით. მაგრამ შემდეგ უარყო ეს მიმართულება და ირაციონალურ აზროვნებიდან რაციონალურზე გადავიდა. ამ ცვლილების შესახებ მან ერთგვარი აღსარება დასწერა და აი რასა სწერს იგი ამ ნაწარმოებში: „მე შევთხზე რამდენიმე პატარა დრამა, რომელშიც გამოიხატა მისტიურად განწყობილ აზრის წუხილი და შფოთვა. ეს შფოთვა და წუხილი შეიძლება პატივსადები იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნაყოფოა და არც უნდა მიეჩვიო მას. ამ დრამების დაწერის მთავარი მიზეზი იყო **შეუცნობელი ძალის წინაშე შიში.** მე მაშინ მწამდა შეუცნობელ, აუცილებელ და ფატალურ ძალთა არსებობა, რომელთა შეცნობა შეუძლებელია და რომელნიც უთუოდ მტრულ განწყობილებაშია ადამიანის მიმართ"*) აი ასეთნაირად გვიხასიათებს მეტერლინკი—თითონ უდიდესი სიმბოლისტი—კიტა აბაშიძის მიერ შემცდარად ახსნილ ლიტერატურულ სკოლას, რომელიც იმავე მეტერლინკის სიტყვით პასიობის ფილოსოფიას და ადამიან უკარგავს ბრძოლის უნარს, ხელს აღ ბინებს ცხოვრების გაუმჯობესებისთვი ზრუნვა-ჭიდილზე,—სულ ერთია მაინ ვერას გახდები, ბედს ვერ წაუხვალ ის მოგენიჭება, რაც შენთვის განკუ დებია შენდა დაუკითხავად განგებისო

ეს ბედისწერა, ანუ განგება რუ მწერალს ლეონიდ ანდრეევს „ვიღა რუხად მორთულის" სახელით ჰყავს მო ნათლული თავის პიესა „ადამიანის ცხო ვრებაში". ადამიანი ფუსფუსებს, რა ღაცას აკეთებს, საკუთარი გეგმები აქვს და ის კი არ იცის, რომ „ვიღაც რუ ხად მორთული" მისი ყოფა-ცხოვრები ბატონ პატრონია და ისე უწყობს ცხო ვრებას, როგორც მას უნდა, ადამიანი მიერ გამორჩეულ გეგმებს ერთიანა ფუშავს და ასე აცეკვებს მას, როგორ თითონ მას—რუხად მორთულს—მო პრიანება. ნორვეგიული მოდერნის კნუტ ჰამსუნი ამ „რუხად მორთუ ვიღაცას" ტიუს უწოდებს, ეგ ვაჟბატ ნი—ტიუ—არხეინადაა მოკალათებუ ცის კაბადონში და ერთიანად ეპყრო „ბრიყვთა და მართალთა", მისთვის ყვე ლა ერთია, ყველას თავის გემოზე ატ ტუნავებს.

ერთი სიტყვით სიმბოლისტური მი მართულება ცდილობს ამ ქვეყნის სა შუალებით მეორე ვითომდა არსებუ უხილავი ქვეყნის საშუალება გვაგრძნო ბინოს, ქედი მოგვახრევინოს მძლეთა მძლე ძალის წინაშე და უიმედოთ ჩაგვ ქინდვრინოს თავი.

მაგრამ როგორც უკვე დავინახეთ ქართველი კრიტიკოსი სულ სხვაგვა რად აცნობს ჩვენს საზოგადოებას ამ მიმართულებას. და ეს იმიტომ, რომ თუ არა ყალბი განმარტებით, ეს ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტად ვერ აღი რებდა. პატრიოტიზმი და ქართულ ლიტერატურის სიყვარული იმდენა ძლიერი იყო განსვენებული მოღვაწ არსებაში, რომ აშკარა შეცდომაც ჩაიდინა. თუმცა შეიძლება ისიც ვიფ ქროთ, რომ ამ შეცდომას იგი სრულ ბითაც ვერ ხედავდა.

ვარლამ ხურიძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. მისი ეტიუდები, ტ. I, გ. XIV.

**) იქვე, გვ. I—II.

*) იქვე, გვ. XIV.

*) „Кризисъ театра", Москва, 1908 წ. გვ. 23

ნაუენი, ნოემბ. 1 კილიდან მოსული ბის თანახმად, რეინზე ელზას ლო ის 8360 მცხოვრებმა მიიღეს მილი ნის ბრძანება, ექვსი კვირის განმა ობაში დასტოვონ თავისი სამშობლო. მიშნული ბრძანება, ელზასიდან გერ ელების გადასახლების შესახებ უკვე ამეა ვერსალის ხელშეკრულების შემ ვ.

ნაუენი. ნოემბ. 1. ვენაში პარასკევს ტრიის ს. დემოკრატების პარტიული ლობა გაიხსნება.

ნაუენი. ნოემბ. 2. „დეიტშე-ალგემაი ციტუნგი“, მოითხოვს ბალტიის რის დაუყონებლივ დაცლას და და სლეთ-რუსეთის მთავრობის მიერ ოლაპირ მხარის დაჭერის დაუ ნებლივ თავიდან აცილებას. რუ თი პოლიტიკურად მხოლოდ თავისი ძალებით შეიძლება გამომთელდეს, ნიკინის და კოლჩაკის მხარის დაჭე კი ავანტიურას წარმოადგენს, რომ ს შედეგიც ბოლშევიკების დიქტატუ ს მაგიერ სისხლის მღვრელი თვით ყრობელობის ანარქია იქნება.

პეტერბურგი, ნოემბ. 3. დღეს ჩვენმა რმა ილინო, სკული და ზოლოტოვო ოო.

ნაუენი. ნოემბ. 2. ჩრდილო ამერი ში მუშების დიდი გაფიცვები დაიწყო. ფიცვა 500,000 მუშა.

ხარატოვი, ნოემ. 2. ვოლგის ორივე პირებზე ხვალინსკ-კამიშინის რაიონ ი პურის მოსავალმა იმედებს გადაა რბა. უკვე მოგროვილია 6 მილიონ უთზე მეტი პური. ამის მიზეზია გლე ბის სულიერი გადატრიალება საბჭო ა მთავრობის სასარგებლოდ და პიტე ის და მოსკოვის მუშების ადგილობ ივ ენერგიულ მუშაობით.

№ ის არმიის შტაბი დენიკინლები ლებიან. ყაზახთა ნაწილები ფრონტს ტოვებენ და დონზე მიდიან. დენიკინი ძულებულია შექმნას ცხენოსანი რაზმი ჯარში გაწვეულთაგან, რომელთაც ტანსაცმელს ყაზახებისას აცმევს, რომ ყაზახთა სახე მისცეს მათ. გამოცხადებული მობილიზაცია სუსტად მიდის. დენიკინლებს სურთ როგორმე ხელი შეუ ლონ ჩვენ მხარეზე გადმოსულებს და ტაციას ეწევიან, ვითომ ბოლშევიკე ს გადასულებს ხვრეტდენ.

მოსკოვი. ნოემბ. 4. წითელი ჯარი რონტზე გადამწყვეტ შეტევას აწარ ოებს. პეტროგრადის ფრონტზე ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ჩვენ ყველ ან ავიღეთ. მტრის წინააღმდეგობა ოვიცილეთ და ვორონეჟის ფრონტზე ა დონზე ვუტევთ. ციმბირში კოლჩა ის ჯარი უწესრიგოთ არის და იშმის მართულებით უკან იხევს. პეტროგრა ის და მოსკოვისკენ წინსვლის მაგიერ ენიკინი და იუდენიჩი წითელი არმიის იერ, რომელიც მთელ ფრონტზე შეტევაზე გადავიდა. იძულებულია პოზიცია პოზიციებზე დასტოვოს. ზამთრის დასაწყისში ჩვენ რამდენიმეჯერ კარ ათ გავიმარჯვეთ. წითელი ჯარი კურსკ ახლოვდება. წითელმა ცხენოსნებმა ღეს ვორონეჟი და მტერს დონისკენ ეკებიან. ციმბირში ჩვენი წინსვლა უწყვეტლივ გრძელდება. კოლჩაკის რმიიდან ჩვენ მხარეზე გადმოსულთა იცხვი დიდია. პეტროგრადის ფრონტზე ათრებმა უკან დახევა დაიწყეს. ამ ქა ად საფრთხე აღარ არის, მაგრამ მტე ი ცოცხალია და აუცილებელია მი ი დაღუპვა. საჭიროა რევოლიუციო ური ნებისყოფის გაძლიერება, რომ სა ოლოოდ დავამარცხოთ კონტრ რევო იუცია. სამოქალაქო ომი გადამწყვეტ ომენტში გადადის. წითელმა „ზურგმა“ თელი ძალა უნდა მოიკრიბოს, რომ ითელი ჯარის მუშაობა შეამსუბუქოს.

გერმანული პრესის ცნობები.

გერმანიის მუშათა ფედერაციის სამე რნეო კომიტეტმა გამოაქვეყნა ცნობე ი ნედლი და დამუშავებულ საქონლის ემოზიდვის შესახებ. დანიის და შვე ციის პროფეს. კავშირები დახმარებას აპირდნენ. (?) სესხის განაწილებაში. ომიტეტი სასარგებლოდ სთვლის კრე იტები გამოიყენოს სავაჭრო ოპერა ციებისთვის ნედლი მასალის დამზადე ბულ საქონელზე გასაცვლელად. თუ, მა ალითად, 24 მილიონ მარკის ბამბა ემოვზიდეთ და მისი ნახევარი დამუშავებული ისევ გავზიდეთ, მეორე ნახევარს შინაურ ბაზრისთვის გამოვიყენებთ. როფეს. კავშირები ცდილობენ ეს გეგმა ანახორციელონ.

„ფორვერტს“-ი ამბობს, რომ რეინის როვინციაში ფრანგების მიერ ჩადენი ლი ძალადობა შედეგია რეაქციონურ მოვინისტურ ტენდენციებისა. გერმა ნიის სოციალდემოკრატიამ თვალები უნდა აუხილოს საფრანგეთის ხალხს და რანგ სოციალისტებს, რომ ფრანგულ დმინისტრაციის მოქმედება დაპყრობილ ოლქებში სახიფათოა.

დასავლეთ გერმანიაში ამერიკის სა ოკუპაციო მმართველობის მკაცრმა ჩარევამ გამოიწვია იქიდან ბოროტ ელე ენტების პანიკური გამოქცევა. ამერი ის ჯარისკაცების ყარაულის ქვეშ გა ასცეს ბერლინის მაძებარ პოლიციას აკავებული ბოროტმოქმედებები. ერთ აჭერილთაგანს 5 მილიონი შოკოლადი ა პაპიროსი აღმოაჩნდა.

ჰააზეს ჯანმრთელობა ჯერ კიდევ და მაკმაყოფილებელი არ არის. მოსალოდნელია მისი მდგომარეობის გაუარესება.

ახალი ამბები

◆ **ლატარია.** უკანასკნელი გამოანგარიშებით, ქართული ლატარიის ბილეთები გაყიდულა დღემდის 3 მილიონ მანეთამდე. გათამაშება კიდევ გრძელდება. საბოლოოდ შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული.

◆ **პროფესორების ჩამოსვლა.** ამ დღეებში თფილისში ჩამოვლენ და პოლიტეხნიკუმში ლექციის კითხვებს დაიწყებენ პროფესორები: სვირენკო (როსტოვიდან) სმირნოვი, (ხარკოვიდან.)

◆ **მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობა** მოხდება თფილისში 23 ნოემბერს.

◆ **„მეფე ურიათა“.** ყოფილ დიდი მთავრის კონ. კონსტანტინეს ძის პიესა „მეფე ურიათა“ ქართულ ენაზე სტუდიის დავალებით სთარგმნა დავით ნახუცრიშვილმა. ამ პიესის დადგმა ძველი რეჟიმის დროს აკრძალული იყო.

◆ **მისალმება.** ბანძის რაიონის სახალხო გვარდიის ყრილობისაგან მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „ორ ნოემბერს შემდგარი ბანძის რაიონის გვარდიელმა ყრილობა შტაბის დაარსების დროს მოგესალმებათ თქვენ და გისურვებთ ჯანმრთელობას რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლათ. ჩვენს ფიცს ვდებთ თქვენს წინაშე არ გადავუხვიოთ ნაცად გზას დამოუკიდებლობის დასაცავად“.

◆ **ქართ. ხამუსიკო საზ—ში.** შეერთებული რეპეტიციები საოპერო სტუდიისა და კაპელასი უკვე დაიწყო და ამ მოკლე ხანში ჩვენი საზოგადოება მოისმენს ქართ. ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“ მუს. დ. არაყიშვილისა.

◆ **დეპეშა ქიათურიდან.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა ქიათურის სახალხო გვარდიის კრებისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ქიათურის სახალხო გვარდიის კრება იღებს რა მხედველობაში დღევანდელ ანარქიულ გამოსვლებს, რომელთაც მიზნათ აქვთ დასახული სამოქალაქო ომი გაჩაღონ მუშათა კლასს შორის და მით ხელს უწყობს შავი გენერლების შემოსევას. სთხოვს მთავრობას ასეთი გამოსვლების წინააღმდეგ იქნეს უსასტიკესი ზომები მიღებული. კმარა ლმობიერება! ყოველ დაძახილზე ჩვენ მზათ ვართ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა“.

◆ **ტრამვაი ექიმებისათვის.** ქალაქის თვითმართველობამ დაუთმო ტრამვაის ერთი ვაგონი ნავთლუღში არსებულ ქალაქის საავადმყოფოების ექიმებს შეღავათიან ფასებში. ამ ვაგონში გარეშე პირებს არა აქვთ უფლება ჩაჯდომის.

◆ **ყაჩაღის მოკვლა.** სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს გორიდან დეპეშით შემდეგს ატყობინებენ: 2 ოქტომბერს, რწმუნებულმა ცატურიამ შეიპყრო ცნობილი ყაჩაღი გიორგი ჯაბახიძე (მეტი სახელათ პანჩო), რომელმაც გზაში გაქცევა დააპირა და იქვე იქნა მოკლული.

◆ **ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი** გადავიდა ახალ ბინაზე, სახალხო გვარდიის ყოფილ ლაზარეთის შენობაში, პეტრე დიდის ქუჩაზე.

◆ **თხოვნა.** დედობის და ბავშვობის დამცველ საზოგადოების თავმჯ. ი ჟორდანიამ თხოვნით მიმართა ქალაქის თვითმართველობას, რათა მათ მიერ იჯარით აღებული აბანო გაენთავისუფლებია სასანიტარო გადასახადისაგან. ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა.

◆ **შეწირულება.** სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ შესწირა სომეხ მასწავლებლებს და მწერლებს 50,000 მანეთი.

◆ **შეშა თფილისისათვის.** დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა სადგურებიდან გამოგზავნილია და ამ დღეებში თფილისში მოვა დიდძალი შეშა.

◆ **ახალგაზრდა მარქსისტთა** თფილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიონის კოლექტივი ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ ის წევრნი, რომელნიც ნოემბრის 9 მდე არ შემოიტანენ ხვედრ საწევრო გადასახადს, გამორიცხულ იქნებიან ორგანიზაციიდან. ფულის შეტანა შეიძლება კოლექტივის ბიუროში საღამოს 5—7 საათამდე.

კრებები.

დღეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (კახეთის ქ. № 1) მეშვიდე კომისარიატის სანიტარული მზრუნველობის საბჭოს წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 5 ს. დანიშნულია ს. ს.-დ. მ. პ. სომხურ სექციის ბიუროს სხდომა.

მილოცვის დეპეშები

გორიდან იუსტიციის მინისტრმა შემდეგი დეპეშები მიიღო: მეხუთე სესია გორის ოლქის მოსამართლეთა ყრილობისა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სენატს და მის დღევანდელ პირველ გამოსვლას სიამოვნებით ეგებება იმ იმედით, რომ იგი განამტკიცებს სამართალს და სიმართლეს და აღიყვანს მათ უზენაეს სისპეტაკეზე და მით აღასრულებს დიდი შოთას სიბრძნეს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლათ“.

მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე ს. მგალობლიშვილი.

თელავიდან: თელავის მომრიგებელ მოსამართლეთა საოლქო პირველი ყრილობა გიძღვნით გულწრფელ სალამს და გისურვებთ ხანგრძლივ დგომას ფხიზელ და მედგარ დარაჯად საქართველოს დემოკ. რესპუბლიკაში სამართლიანობის განსამტკიცებლად და სასამართლოს ასაყვავებლად. ყრილობა თავის მხრით მტკიცე აღთქმას სდებს თავგანწირვით ემსახუროს პირუთვნელ სამართლის დამყარებას და განმტკიცებას უმწიკვლოდ და შეუბღალავად დაიცვას მაღლა აღმართული დროშა სამართლიანობისა, არ გაამრუდოს სამართლის სასწორი მოვლენათა ზეგავლენითა.

ყრილობის მონდობილობით თავმჯდომარე ნ. რაზმაძე.

ქართველები უკრაინაში

კიევის ქართული კოლონიის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს ნათესავთ და ნაცნობთა საყურადღებოთ, რომ კიევში მცხოვრებ ქართველთა შორის უკანასკნელ მოქალაქობრივ ომის დროს არავინ დაზიანებულა. აქ მცხოვრები ქართველობა სალამს უძღვნის ნაცნობ ნათესავთ.

კიევის ქართულ კოლონიის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მამალაძე. მდივანი სიმონ ლორთქიფანიძე.

რეზოლიუცია

გამოტანილი 14 იანვარს 1919 წელს კიევის ქართველ საზოგადოების მიერ სუვერენულ საქართველოსადმი.

ქ. კიევში მცხოვრები ქართველობა უზომო სიხარულით და აღტაცებით ეგებება საქართველოს დემოკ. რესპუბ. ნახევარი წლის დამოუკიდებელ არსებობას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ხელახლა გამოსული საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე ჩვენი სიამაყე-საქართველო მუდამ იზეიმებს იმ დღეს, როდესაც დაიმსხვრა ეკონომიური და პოლიტიკური მონობის ჯაჭვები.

გაუმარჯოს თავისუფალ სუვერენულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მის წინამძღოლებს!

უცხოეთი

სპარსეთი და მოკავშირენი.

სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განუცხადა საფრანგეთის პალატის წარმომადგენელს, რომ შაჰი ეწვევა სადარბაზოდ პუანკარეს. მინისტრის სიტყვით ის და მისი მთავრობა ყოველთვის მომხრენი იყვნენ ანტანტის. მინისტრი შუამდგომლობს, რომ სპარსეთი დაშვებულ იქნას საზავო კონფერენციაზე. მინისტრმა სთხოვა საფრანგეთის მთავრობას გაგზავნონ სპარსეთში პროფესორები და მასწავლებლები.

არეულობა ეგვიპტეში.

3 ოქტომბერს ეგვიპტეში დელტის რკინის გზის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ადმინისტრაციამ პოლიცია გამოიწვია, რადგანაც მუშები ემუქრებოდენ მთელ ადმინისტრაციას.

პარიზის რკ. გზებზე.

პარიზის რკინის გზის მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ადმინისტრაციას. ითხოვენ 100 პროცენტის მომატებას. მინიმუმი ჯამაგირების უნდა იყოს 800 ფრანკი.

სომხეთში

ახალი თავდასხმა სურმალუზე.

იგდირიდან იტყობინებიან, რომ 28 ოქტომბერს, 13 საათზე შეიარაღებული თათრები რიცხვით 500 კაცამდე თავს დაესხნენ სოფ. დაშ ბურუს (სურმალინის მაზრა) დაახვევინეს პოზიციებიდან სომხების მცირე რაზმს. სომხების მაშველმა ჯარებმა სროლა აუტეხეს თათრებს და მთელი ღამის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა. სოფ. დაშბურუნი ხელიდან ხელში გადადიოდა. 27 ოქტომბერს, დილის 8 საათზე თათრები განდევნილ იქნენ დაშბურუნიდან, რომელიც დაიჭირეს სომხის ჯარებმა. ბრძოლა გაგრძელდა ჯანატაპის რაიონში. 29 ოქტომბერს თათრები ჰასანხანიდანაც განდევნეს. („სლ.“)

აზერბეიჯანში

ახალი კაბინეტი.

პრემიერ მინისტრმა ნ. ბ. უსუბეკოვმა უკვე შეადგინა ახალი კაბინეტი. უსუბეკოვი იქნება კაბინეტის თავმჯდომარე, უპორთფელო მინისტრად. მინისტრთა შემადგენლობა ეცნობება პარლამენტს.

დელეგაციის შეპყრობა.

ბაქოში მიღებულ კერძო ცნობებით, მოხალისეთა კონტრ მზვერავთა რაზმის მიერ შეპყრობილ იქნა ზღვაში პეტროვსკის მახლობლათ დელეგაცია, რომელიც გაემგზავრა ბაქოდან ასტრახანის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ ბაქოელ ლტოლვილების განთავისუფლების შესახებ, რომლებიც 1918 წლიდან დარჩნენ იქ. მიზეზი დელეგაციის შეპყრობის იყო ის, რომ იმ ხომალდზე, რომლებითაც დელეგაცია მიემგზავრებოდა, იყო ცნობილი ბოლშევიკი, რომელსაც დაეძებდა მოხალისეთა კონტრ-მზვერავთა რაზმი

დელეგაციის ხარჯები.

პარიზში მყოფ აზერბეიჯანის საზავო დელეგაციის ხარჯები ნავარაუდევია 35 მილიონი მანეთი.

მ. გაჯინსკი.

პარიზიდან დაბრუნდა საზავო დელეგაციის წევრი ინჟენერი მაჰმედ ჰასან გაჯინსკი, რომელიც ხან-ხოისკის კაბინეტში სახელმწიფო კონტროლიორათ იყო. გაჯინსკი ახალ კაბინეტში მიიღებს ფინანსთა ანდა ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის პორტფელს. („ბაკ.“)

მუშათა სიმღერა

ვ. რუხაძის „მუშების სიმღერა“-ს გამო.

ერთად ძმებო! ძმებო ერთად!
შემოვძახოთ მხნე სიმღერა!
სახალისო იყოს შრომა!
სახალისო გვქონდეს კერა!
შრომაშია ჩვენი ძალა,
ჩვენი ხსნა და ჩვენი შველა!
შრომის წმინდა სამეფოშიც
შრომის დროშით შევალთ ყველა!
ერთად ძმებო! ძმებო ერთად!
გამოვჭედოთ ჩვენი ბედი!
სირცხვილი მას, ვისაც ჩვენში
დაეკარგოს ხსნის იმედი!
ერთად ძმებო! ძმებო ერთად!
შემოვძახოთ მხნე სიმღერა!
მხიარული გვქონდეს შრომა!
მხიარულად იყოს კერა!
მტკიცე იყოს ჩვენი მცნება,
ჩვენი რწმენა, ჩვენი პირი!
სულგრძელობით გადვიტანოთ
დღევანდელი გასაჭირი!
ერთად ძმებო! ძმებო ერთად!
ჩაქუჩით და თოფით ხელში!
სირცხვილი მას, ვინც გაებას
მაცდურთა და მტერთა ქსელში!
რაცა გვსურს და გვენატრება
დავამყარებთ ბრძოლა—შრომით
და ვინც განზრახ ხელს შეგვიშლის,
დაემხობა ჩვენის წყრომით!
ერთად ძმებო! ძმებო ერთად!
ჩაქუჩით და თოფით ხელში!
შევენებულათ გავარჩიოთ
შავი წითელ სამოსელში!
ერთად ძმებო! ძმებო ერთად!
მოვიხადოთ ყველამ ვალი!
ჩვენს ხელშია ჩვენი ბედი!
ჩვენ გვეკუთვნის მომავალი

გ. ქუჩიშვილი.

მუშათა წერილები

საუბარი გლეხებთან.

III

როგორც იცით, გლეხკაცობა თუმცა ბატონის შინაყმობისაგან განთავისუფლდა, მაგრამ ამას მოჰყვა მეორე გარემოება, ის, რომ მეფემ რუსეთის გლეხობას ყოველგვარი სახელმწიფო ხარჯი და გადასახადი დაადვა კისერზე. თქვენ ალბათ გახსოვთ საკომლო, საფოლტო ფულები, მღვდლების ღალის გადახდის მწარე დღეები, დარბევა-აწიოკება, ჩინოვნიკების მუქთათ წაყვან წამოყვანა, ეგზეკუციის ხარჯები და სხვა მრავალი მოვალეობა, რომელსაც გლეხკაცობა, როგორც დაბალი წოდება, კისერ წილუნული უსიტყვოთ ასრულებდა.

გლეხს საქირაოზე გასვლის ნება თუმცა მიეცა, მაგრამ ზემოთ დაკისრებულ ბეგარის გამო სოფლის მამასახლისი „ბაშფორტს“ ისე არ გასცემდა, თუ თავის მაგიერ ამ ბეგარის შემსრულებელ პირს არ დაუტოვებდა.

ამ დროს, იმ განათლებულ ქვეყნებში, სადაც ადრე გადავარდა ბატონყმობა— საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში და სხ. გაიხსნა ფაბრიკა ქარხნები, გაიყვანეს რკინის გზები, ამას მოჰყვა: ფოსტა ტელეგრაფი, ტელეფონების საჭიროება, ზღვებზე და ხმელეთზე სწრაფი მიმოსვლა, აყვავდა სოფლის მეურნეობა, გაჩნდა საუცხოვო ბაღები და ხვნა თესვაც მაშინების საშუალებით დაიწყო, გაჩაღდა ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, რამაც გამოიწვია დახვავებულ ნაწარმოების გადატან გადმოტანა და ფაბრიკა ზაოდებში დამზადებულ საქონლით გაივსო მთელი არე მარე. ჩვენშიაც შემოვიდა ფაბრიკის ქსოვილები, რამაც ჩვენი ხალხიც დიდათ დააინტერესა, ძველებური ხამების ადგილი ჩითეულებმა დაიჭირა; მალე რუსეთიც ამავე გზას დაადგა, იქაც გახსნეს ფაბრიკა ზავოდები. ჩვენი ხალხიც ჩაითრია შეცვლილმა პირობებმა, სოფლის გაჭირვებამ და აუტანელმა გადასახადებმა ჩვენი გლეხკაცობაც გარეთ გამორეკა: ზოგი საქირაოზე წავიდა და დღიურ მუშათ გახდა, ზოგმა ფეხზე ვაჭრობა დაიწყო, ზოგმა „საფოდრათო“ საქმეს მოჰკიდა ხელი. და ამნაირათ ძველი სოფლური ცხოვრება ნელა ნელა დაირღვა და ფულის შოვნის საჭიროება გახდა ერთად ერთ, თავის შესანიშნავ საშუალებათ. დადგა ფულის ბატონობის დრო. დღეს ვისაც ბევრი ფული აქვს, ღმერთობას და დიდკაცობასაც ის იჩემებს. ფულის მოგებით გატაცებული მეფაბრიკეები დღე მუდამ იმას ცდილობენ, რომ თავიანთი ნაწარმოები ზედმეტ ფასებში გაყიდონ და გაიტანონ იმ ქვეყნებში, სადაც წარმოება ნაკლებია, ეს ნიადაგი იწვევს ერთმანეთ შორის მეტოქეობას: ყველას უნდა თავისი საქმე გაიჩარხოს, ესა თუ ის ქვეყანა ხელში ჩაიგდოს და მუდმივი ბაზარი გაიჩინოს. ეხლა მე მგონი, თქვენც მიხვდებით, თუ ამ გვარ ქიშპობას რა შედეგი მოჰყვებოდა, აი ეს გარემოება იყო მიზეზი მუდმივი შუღლისა და ომიანობისა. მდიდრების გაუმაძღრობამ გამოიწვია უმთავრესათ ყაზარმებში მუდმივი ჯარების დაგროვება, საომარ თოფ ზარბაზნების დამზადება და ამ ბოლო დროს თქვენის თვალით დაინახავთ, თუ როგორ აიშალა ყველა სახელმწიფოები და გაჩაღდა უმაგალითო ქვეყნიური ომი.

ჭალარა მუშა.

(დასასრული იქნება).

კომუნისტების გამოსვლა ლაგოდეხში

ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა დღეს გარშემორტყმულია მტრებით. მტერი გარედან, მტერი შიგნიდან. ეს არც გასაკვირია; რუსეთის რევოლიუციის აკვანი და გვირგვინი საქართველოა. მან შეინარჩუნა და განამტკიცა რევოლიუციის მონაპოვარი. საქართველო თავისუფალი, დემოკრატიის თავშესაფარი დემოკრატიისავე ხელით უყრის სახელმწიფოს საძირკველს, თავისი მკერდით იცავს თავისუფლებას. ასეა დღეს, როდესაც დიდი რუსეთი კომუნისტ-ავანტიურისტების და დენიკინის რეაქციონერებით, ბრძოლის ველს წარმოადგენს. ძმათა სისხლით მორწყულია მისი მინდვრები. გარეშე მტერს სურს დაანგრიოს თავისუფალი, დემოკრატიის თავშესაფარი საქართველო, გაანადგუროს რუსეთის რევოლიუციის ნაშთი, კვლავ უღელი დაადგას მრავალ ტანჯულ ხალხს. შინაური მტრის სურვილია შიგნიდან ააფეთქოს საქართველო და ამნაირათ ჩააბას სამოქალაქო ომში—სისხლის ღვრაში. შესძლებენ კი ამას? მე ვთქვი, საქართველო აკვანი და გვირგვინია რუსეთის რევოლიუციის და, მინამ ეს გვირგვინი—მუშათა კლასი—ცოცხალია საქართველოში, ის შეუვალი და უვნებელი დარჩება, როგორც დენიკინის რეაქციისაგან, ისე ლენინის ანარქიისაგან ეს კარგათ უნდა უწყოდეს საქართველოს გარეშე და შინაურმა მტრებმა.

დღეს, როდესაც ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, ხალხის სურვილისამებრ მოწესრიგდა, ჩვენი შინაური მტრები არ ისვენებენ, ბოლშევიკური შანტაჟის მოტრფიალენი ამბოხებას აწყობენ. სისხლი სწყურიათ. ასეთ სამწუხარო ამბავს ადგილი ჰქონდა საქართველოს განაპირა კუთხეში, დაბა ლაგოდეხში. ლაგოდეხი დასახლებულია: ქართველებით, სომხებით, რუსებით, ოსებით, თათრებით, მალაკნებით და სხვ. რომ ასეთ მრავალრიცხოვან და მრავალ ფეროვან ხალხში ყველა ჯურის კაცია და ადვილი გასავალი აქვს, როგორც პროვოკაციას, აგრეთვე ერთა შორის მტრობისა და შურის გაღვივებას. გასული წლების გარდამავალ ქარტეხილს გადაურჩით და დღეს, ზოგიერთა ავანტიურისტის, ხალხის მტრების თაოსნობით, ლაგოდეხშიაც მოხდა ამბოხება. 24 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე, გაკომუნისტებული ბრბო შეუგნებელ ელემენტების იარაღით ქუჩაში გამოვიდა და თანდაყოლილი ჩვეულებით სისხლის ღვრით დაიკავა ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებები. დაიღვარა ოთხი უდანაშაულო ადამიანის სისხლი, და ორი იმ წუთშივე გამოესალმა წუთი სოფელს.

ბრბო ხმა მაღლა გაიძახოდა: „თფილისის მთავრობა ციხეშია, ძალა უფლება ჩვენ ხელში (საბჭოთა მთავრობის) გადმოვიდა. დაგვემორჩილეთ, აიღეთ იარაღი ხელში და გამოდით ჩვენთანო ხალხს თავზარი დაეცა. ბრბომ გასტეხა საწყობი, დაარიგეს იარაღი. ლაგოდეხის რაიონს განადგურება მოელოდა, რომ ამ ბრბოს ხელში რამოდენიმე ხანი დარჩენილიყო. დილის 12 საათზე ადგილობრივი ფოსტის უფროსმა და თემის გამგეობის წევრმა მოიტანეს ვ. ჯუღელის პირდაპირი მავთულით გადმოცემული სიტყვები... დაიწყენ იარაღი, დაწყნარდნენ, თორემ თფილისის მუშები არ დაზოგავენ... ბრბო შეშინდა, ბევრმა თოფები მიჰყარეს და სახლებში წავიდნენ. კვირას მოვიდა სიღნაღიდან გვარდია. ბევრი მონაწილენი დაატყვევეს, მხოლოდ მეთაურები ტყეს მიეფარენ. სამაზრო ერობამ და შტაბმა ულტიმატუმი დაუგზავნა მცხოვრებთ: მოგვყვანეთ მეთაურები. საზოგადოებამ თვითონაც მიიღო ზომები და ამბოხება და საფრთხე, რომელიც მოელოდა, არამც თუ მარტო ლაგოდეხის რაიონს, არამედ მთელ რესპუბლიკასაც, [illegible] იქმნა ჩაკლული. როგორც ეტყობა მათ, კარგა ხანს მზადება ჰქონიათ, კრებებიც კი [illegible] ფილში. ბეჭედი ჰქონიათ შემდეგი წარწერით: „[illegible] რ. კ. პ (ბოლშევიკების)“.

რამ შეუწყო ხელი კომუნისტების გამოსვლას ლაგოდეხში? ამ საკითხზე გვექნება საუბარი მეორე წერილში.

გ. ხახრიძე.

ღია წერილი

ვასილ ბარნოვის პატივისმცემელთა საყურადღებოდ.

თფილისში მომუშავე ვასილ ბარნოვის საიუბილეო კომისიის გარდა შემდგარია ჯგუფი პატივცემულ მწერლის ნამოწაფართა და, მოწაფეთა და საზოგადოდ პატივისმცემელთა, რომელთაც მიზნად აქვთ როგორც ზნეობრივად, ისე ნივთიერად პატივი სცენ ძვირფას მწერალს. როგორც საიუბილეო დღეს (9 ნოემბერს) ისე შემდეგისათვისაც, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღო ამ ჯგუფის მუშაობაში, შეუძლიან მოგვმართოს. ყოველგვარი შესაწირავი მიიღება მისამართით: გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ე ლეონიძეს.

22 ყაჩაღი

ჩვენ გაზეთში უკვე იყო ცნობა გემ „მარიას“ გამძარცველთა გურიაში შეპყრობისა, ეხლა მოგვყავს სია შეპყრობილ ყაჩაღებისა:

1. მანწკავა ვლასა—კორნეტი, 2. კეკელიძე პროკ.—სტუდენტი ფოთელი, 3. კალანდაძე ტარასი—ბასილეთიდან, 4. გიორგაძ ყარამან—ჯვარცხმიდან, 5. ასათიანი მიხეილ—ლაილაშიდან, 6. მოისრაფეიშვილი სამუილ—ჩოჩხათიდან, 7. ახვლედიანი ეგნატე თომას-ძე—ორბელიდან (ლეჩხ. მაზ.), 8. ეძგვერაძე ბესარიონ—ნახახულევიდან, 9. მარგალიტაძე თეოფილე—ერკეთიდან, 10. მარშანიშვილი დომენტი—ჩოჩხათიდან, 11. გორდელაძე თადეოზ—ერკეთიდან, 12. ლომაძე ვასილ—ბასილეთიდან, 13. კაჭახიძე ნესტორ—ჯახაიშიდან, 14. ჯალაღანია ვასილ—ფოთიდან, 15. თევზაძე სიმონ—ზემოხეთიდან, 16 ნეფარიძე ვენედიქტე—ვანი (ქუთ. მაზ.), 17. ხმელიძე სილევან—დვაბზუდან, 18. გუჯაბაძე ილიკო—სუფსიდან, 19. ნიკოლაიშვილი ანტონ—ჩოჩხათიდან, 20. კილაძე ივანე—ძიმითიდან, 21, ზაქარეიშვილმ პორფილე—ზემოხეთიდან, 22. ვაისმან გრიგორი—სოხუმიდან (ებრაელი).

პ. ჩანჩალეიშვილის ხსოვნას

დაუნდობელმა სიკვდილმა ბოლო მოუღო ჯერ სრულიად ახალგაზრდა ამხანაგ პაშას. პაშა არ იყო დიდი მოღვაწე, ეს იყო პატარა და თავის ხანმოკლე სიცოცხლეში თავისი წვლილი შემოქონდა ჩვენს ქალთა 1 რაიონის ორგანიზაციაში. ეს იმ ახალგაზრდათა ჯგუფს არ ეკუთვნოდა, რომელნიც უქმათ ატარებენ დროსა. პაშას სიდინჯეს, მის დაკვირვებას აღტაცებაში მოვყავდით. ეს იყო ენერგიული ამხანაგი და მომავალი მუშაკი საზოგადოებისა. მაგრამ სასტიკმა სიკვდილმა გამოგვტაცა ხელიდან, და ჩვენ ქალთა ისედაც სუსტს ორგანიზაციას, გამოაკლდა ერთი საუკეთესო წევრთაგანი. ყველა მისი ამხანაგები ვერ შევრიგებულვართ იმ აზრს, რომ დღეიდან ეს ჩვენთვის ძვირფასი ამხანაგი აღარ გვყოლება. მშვიდობით ძვირფასო, შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის.

ლიზა ფეოდოროვისა.

მუშათა შორის

თფილისი. ქ. თფილისის მოქალაქეებს პროფესიონალურ კავშირებს და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მოქალაქენო და ამხ. მუშებო! ხელზე მოსამსახურეთა კავშირი რესტორან „შამანს“ უცხადებს ბოიკოტს. ამ ზომამდის კავშირი მიიყვანა „შამპანის“ მეპატრონეების საქციელმა, რომელიც გამოიხატება შემდეგში: 1) არავითარ ანგარიშს კავშირს არ უწევენ. 2) კავშირის წევრებს არ ღებულობენ და სასტიკ ექსპლოატაციას ეწევიან კავშირის გარეთ მიღებულ მუშებისას. დიდი ხანია კავშირის გამგეობა ცდილობდა, რომ საქმე გათავებულიყო მშვიდობიანი გზით, მაგრამ ეს არ მოხერხდა, და მან მიმართა ეხლა ამ ზომას. და მოგიწოდებთ თქვენ, მოქალაქეებს და ამხ. მუშებს და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მხარი დაგვიჭიროთ და რესტორან „შამანს“ არ ესტუმროთ დღიდან ბოიკოტის გამოცხადებისას. ბოიკოტი გამოცხადებული აქვს 4 ნოემბრიდან ბოიკოტი მოხსნილ იქნება მაშინ, როდესაც მუშები წაყვანილ იქნება კავშირიდან.

პროფ. კავშირის გამგეობა.

თფილისი. 23 ოქტომბერს ხელოსანთა თვითმართველობაში შესდგა თფილისის აპრიკმახერთა პროფესიონალური კავში-

რის წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ლავრენტი ქან—რია, მდივნათ მანევიჩი.

კავშირის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის სახელით ქან—რია. კრებამ მოხსენება სცნო დამაკმაყოფილებლად და მადლობა გამოუცხადა გამგეობას. მოხდა ახალი არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა. გამგეობაში აირჩიეს ლავრენტი ქანთარია, გ. კვირიკაშვილი (ძველი გამგ. წევრები) ფირუმოვი, ბუჯიაშვილი, ინასარიძე, ბედუკაძე და მანევიჩი. სარევიზიო კომისიაში: ფედოროვი, ჩიტაიშვილი და კორძახია. ქან—რია აცნობს საზოგადო კრებას, რომ 4 ნოემბერს შესრულდება ერთი წელი, რაც გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი კოლია მხეიძე. გამგეობამ მიიღო სათანადო ზომები მისი ხსოვნის აღსანიშნავად.

ინტერვალი.

ს.-დ. პარტიაში

დ. სუფსა. 12 ოქტომბერს შესდგა სუფსის რაიონის ს.-დ. კოლექტივის მორიგი სხდომა ნ. ურუშაძის თავმჯდომარეობით. ადგილებიდან მოხსენებები მოისმინა კოლექტივმა და კმაყოფილი დარჩა.

კიოსკის შესახებ მოხსენებას აკეთებს ვ. ოდიშარია. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კიოსკს არ აქვს სახსარი, რომ ამ სიძვირის დროს თავისი დანიშნულება შეასრულოს და მოწაფეების მოთხოვნილება სამეცადინო ნივთების შეძენით დააკმაყოფილოს, რის გამო მოწაფეები კერძო ვაჭრების ხელში ვარდებიან და მათ ახდევინებენ იმდენს, რაც გამყიდველს მოესურვება და თუ ასე გასტანა, კიოსკი უნდა დაიხუროს. მომხსენებელი სურვილს გამოსთქვამს კიოსკის გადაცემას სუფსის რაიონის მასწავლებელთა კავშირზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა კიოსკი გადაეცეს მასწავლებელთა კავშირს. ნესტორ კოპლატაძის ობლების სასარგებლოდ კრებამ დაადგინა გაიმართოს წარმოდგენა. რადგან ზოგიერთი პირები ბოროტად სარგებლობენ მანდატებით, ამისათვის კრებამ დაადგინა 1 სექტემბრამდე გაცემული მანდატები გაუქმებულად ჩაითვალოს და ვისაც მოეპოვება ასეთი უნდა მოიტანონ შესამოწმებლად კოლექტივის მდივანთან. აგრონომის შესახებ მოხსენდა კრებას, რომ სამაზრო ერობას გამოუგზავნია სუფსაში აგრონომი, მაგრამ რა დანიშნულება აქვს მას ან რას აკეთებს დღეს ეს გაუგებარი რჩება. ამისათვის კოლექტივმა დაადგინა სუფსის თემის გამგეობის საშუალებით ეთხოვოს სამაზრო ერობის ეკონომიურ განყოფილებას, რათა სამაზრო ერობაში გაგზავნილი მოხსენების ასლი აგრონომმა გზავნოს სუფსის თემის გამგეობაში, რითაც ამხანაგებს საშუალება მიეცემათ გაიგონ ყოველივე აგრონომის მუშაობის შესახებ. ძმ. კონსტანტინე, შალიკო, ბიქტორ და მირიან ჰანტურიებმა გარდაცვალებულ თავის მამის ორმოცის გამართვის მაგივრათ ხუთასი მან. შემოსწირა კოლექტივს და ხუთასი მანეთი შესწირეს სასაფლაოს შესაღობათ, რისთვისაც კოლექტივი გულწრფელ მადლობას უცხადებს ხსენებულ პირებს.

წიაღობნელი

პროვინცია

ამაშუკეთი. 5 ოქტომბერს მოხდა ამ საზოგადოების მცხოვრებთა ყრილობა, რომელზედაც ხალხი ბლომათ გამოცხადდა ყრილობას უნდა აერჩია ერთდროული გადასახადის გამწერები. აღსანიშნავია, რომ წინა კრებაზე ზოგიერთ ვაჟბატონების წყალობით უარი განაცხადეს გამწერების არჩევაზე. ეხლა კი წინააღმდეგ, ხალხი ნანობს, პროვოკატორებმა შეგვიყვანეს შეცდომაში და შევრცხვით მთელი საზოგადოებაო.

კრება გახსნა ხარაგოულის რაიონ. კომისრის თანაშემწემ ბ. დ. ამაშუკელმა კრებამ მოითხოვა თავმჯდომარის არჩევა, მაგრამ ბატ. ამაშუკელმა არ მისცა ამის ნება, რამაც ხალხში აღელვება გამოიწვია. საქმე იმდენათ გამწვავდა, რომ არც კრებამ დაუთმო და არც ამაშუკელს უნდოდა დაეთმო, მაგრამ ხალხის მოთხოვნილება იმდენათ მტკიცე და კატეგორიული იყო, რომ ბ. ამაშუკელი იძულებული იყო კრება დაეტოვებინა. ამის შემდეგ კრება დაწყნარდა. აირჩია თავმჯდომარე და შეუდგა საქმეს. ბ. ამაშუკელის მოქმედებაზე შეადგინა კრებამ ოქმი სამაზრო ერობაზე გადასაცემათ.

ამ რამდენიმე თვის წინათ ს. ღორეშაში დაეცნენ ჩხეიძეს ყაჩაღები მოკლეს ის და გაძარცვეს, ამ საქმეზე დაჭერილ იქმნენ ცნობ. ყაჩაღები ქაჭიაშვილი და ორჯონიკიძეები. საქმეს მიეცა შესაფერისი მსვლელობა. ხალხი ფიქრობდა, რომ ამ საშინელების ჩამდენნი სამუდამოთ მოცილებულნი იქნებიან ამ საზოგადოებას. მაგრამ შესდგა სასამართლო, რომელმაც გაამართლა ეს ყაჩაღები და ისინი მოევლინენ ისევ ჩვენს საზოგადოებას. ამ მოვლენამ ხალხზე მძიმე შთაბეჭდილება იქონია და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ამოძრავდენ სოფლის ბაცაცები შეიქმნა სმა და ასტეხეს ხითხითი ამ ნაძირალებმა. მასთან ერთი იმ ყაჩაღებთაგანი ონიფორტე ორჯონიკიძე დამდგარა სახალხო მატარებლებზე მილიციონერათ, რასაც უნდა მიექცეს სათანადო უწყების ყურადღება. სამაზრო მთავრობამ დაუყონებლივ უნდა მიიღოს ზომები, რომ საზოგადოება ამ მდგომარეობიდან გამოიყვანოს. თორემ აუტანელი ატმოსფერა არის შექმნილი.

შავარელი.

გორის მაზრა.

სოფ. ზემო-ხანდაკში (ახალქალაქის რაიონი) 20 სექტემბერს, ღამით წისქვილში თოფით მოჰკლეს სანდრო ქამხაძე. მილიციამ ამ საქმეზე დააპატიმრა მისივე სახლი კაცი ქამხაძე.

— ახალქალაქის რაიონში დღემდის იყო 8 სკოლა, ეხლა მიემატა სამი, ორიც სომხური ნაციონალური საბჭოსი. ამდენ ხანს იყო 10 მასწავლებელი, ეხლა არის 15. სამწუხაროთ მასწავლებლებს ხალხთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

— სოფ. კავთისხევის რაიონში დღემდის იყო სამი სკოლა, მოემატა ორი.

სოფ. კავთისხევში აღმოჩნდა კუპრი და მაშასადამე ნავთიც, არის აგრეთვე ცემენტი, საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

— 8 ოქტომბერს სოფელ მეჯვრის ხევს იწვია დამფუძნებელი კრების მიერ დანიშნული საგანგებო კომისია მეჯვრის ხევის რაიონის აგრარული კომისიის უკანონო მოქმედების გამოსაძიებლად შემდეგის შემადგენლობით:

დამფუძნებელი კრების წევრები დ. ონიაშვილი, ივ. ტატიაშვილი, მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი ნ. სოკოლოვსკი, გორის სამაზრო ერობის წარმომადგენელი შ. ჯავახიშვილი და მეჯვრისხევის თემის წარმომადგენელი ი. კასრაძე. კომისიამ გამოარკვია, რომ აგრარულ კომისიის თავმჯდომარის ლორთქიფანიძეს და კომისიის წევრს მიწის მზომელ სომხიშვილს გამოუჩენიათ სამსახურის ასრულების დროს დაუდევრობა, და ბოროტ მოქმედებაც კი. გორის სამაზრო ერობის გამგეობამ სასწრაფოთ გამოიწვია მეჯვრისხევის აგრარული კომისიის თავმჯდომარე ლორთქიფანიძე და კომისიის წევრი მიწის მზომელი სომხიშვილი, დამფუძნებელი კრების კომისია კი ამ საგანზე თავის დასკვნითურთ მოხსენებას წარუდგენს დამფუძნებელ კრებას.

ი. ქუტირელი

— —

ლეხაინდრავოს თემი (სენაკის მაზრა) ლეხაინდრავოს თემი შესდგება 4 მოზრდილი სოფლისაგან: ლეხაინდრავო, ონოღია, ნაგიბეროვო და ნაჯახოვო. კომლთა რიცხვი—2000 იქნება. საადმინისტრაციო ცენტრი ნაგიბეროვოა, სადაც არის კანცელარია. ცენტრი შეერთებულია დ. ბანძასთან ტელეფონით. ადმინისტრაცია გვარიანათ არის მოწყობილი. წვრილ ერთეულს (ერობა) იანვარში შეუსრულდება ერთი წელი. თემში სრული წესიერებაა. მავნე ელემენტების ლიკვიდაცია ჩქარის ტემპით მიმდინარეობს ადგილობრივი და დ. ბანძის სარაიონო მილიციის ენერგიული მუშაობით.

ლეხაინდრავოს თემი კულტურულ-ეკონომიურად უმთავრესად დამოკიდებულია ქ. ხონთან, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთით და საზღვარი არის მდ. ცხენის წყალი. საშუალო განათლებას ახალგაზრდანი უმთავრესად იღებენ ქ. ხონში. ხონი დაშორებულია ლეხაინდრავოს თემიდან 5—6 ვერსით. ხონში პარასკეობით — ბაზარია სადაც თავს იყრის სხვადასხვა კუთხიდან ურიცხვი ხალხი, მათში უახლოეს მონაწილეობას ღებულობს ლეხაინდრაოს თემი.

მდ. ცხენის წყალი ძალიან ხელს უშლის სამეგრელო იმერეთს ერთმანეთთან უფრო მჭიდროთ დაახლოვებას, განსაკუთრებით წყალდიდობის დროს. ამ მდ. თავის სიჩქარის გამო თათრები ეძახიან ქაჯი წყალს, რომელშიაც ბევრი მსხვერპლია გალებული. (მდ. ცხენის წყლის შესახებ შემდეგ წერილში ვრცლად მოველაპარაკები ამხ. მკითხველებს.)

ახლა გადავხედოთ კულტურულ ეკონომიურ სფეროს ლეხაინდრავოს თემში. დროთა ვითარებაში ინტელიგენტთა რიცხვი გამრავლდა საკმაოდ, შედარებით სხვა თემებთან. გასულ წელს დ. ბანძაში გაიხსნა უმაღ. დაწყ. სასწ. და ამ მხრივ ცოტაოდ იქონია გავლენა თემზე, მაგრამ ეს გავლენა მოკლე ვადიანი გამოდგა. ასეთი და კიდევ მეტი უმაღ. დაწ. სასწავ. აგრონომიული განყოფილებით წელს გაიხსნა ლეხაინდრავოს თემში. (დროებით ადგილობრივ ორკლ. სასწ. ქვის შენობაში). სასწ. ინახავს თემი. სასწ. გახსნის ნებართვა მიღებული ჰქონდა ს. ს. ლეხაინდრავო ნაჯახოვოს და გახსნეს ეს სასწავლებელი ს. ნაჯახოვოში. ნახევარი ნაწილი თემისა ს. ს. ონოღია და ნაგიბეროვო ჩამოშორდა სასწავლებელს, ვინაიდან მათ უნდოდათ —ს. ნაგიბეროვოში. არც ერთი მხარე არ წავიდა კომპრომისზე სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ნაგიბეროვო ონოღიის ჩამოშორება ამ სასწავლებლიდან. ამის შემდეგ მოწვეულ იქნა საზოგადო კრება, რომელზედაც დაადგინეს, რათაცარ უნდა დაჯდეს სასწავლებელი ახლავე გაიხსნასო. არჩეულ იქნა 3 კაცისაგან შემდგარი კომისია: ბ. დანელია (ფერშალი), ლ. გვალია და ვლ. ჩიხლაძე ადგილობრივი მასწავლებლები. ხალხი დაყოფილია სამ კატეგორიათ. (ქვრივ ობლებ ღარიბები განთავისუფლებულია). სათანადო თანხა შეაგროვეს და სასწავლებელმა დაიწყო მოქმედობა, რომლის დროებით გამგეთ ყოფილა ხონის სასწ. სემ. კურს დამთავრებული ს. ქუთათელაძე.

თვით ს. ს. ლეხ. ნაჯახ. არის 2 კლ. სასწ. (ქვის შენობა), ს ნაგიბეროვოში 1 კლ. სასწ. (ხის შენობა) და ს. ონოღიაში 2 კლ. სასწ. (ქვის შენობა), თემში სექტ. გახსნა ბ-ნ ს. ნაჭყეპიამ საფეიქრო სკოლა, რომელიც ჯერ-ჯერობით მოთავსებულია კანცელარიის შენობაში და საკმაო რიცხვი შეგირდებისა ჩაეწერა (ქალებია), არსებობს წვრილი საკრედ. საამხ. ბანკი, რომელიც ჩვეულებრივად მოქმედობს.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო ოთხივე სოფლებში არსებობს, მაგრამ სულს ღაფავს, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. მხოლოდ ს. ნაგიბეროვოში ბიბ. სამკ. სამაგალითოდაა დაყენებული.

თემის ყველა შუაგულ სოფლებში დიდი ხანია არსებობს კოოპერატივები. მათში მხოლოდ ს. ლეხაინდრავოს აქვს ქვის შენობა, მიწაც შეიძინა და სხვა. კოოპერატ. თავის სიმაღლეზე არა სდგას. მაგრამ იმედია, რომ ლეხ. თემის კოოპერატ. გამოაგზავნიან ქ. თფილისში ან სხვაგან ახლო მომავალში გასახსნელად განძრახულ კოოპერაციის კურსებზე საიმედო კაცებს და ამით ამ საქმეს მოაგვარებენ. წელს ყველა სოფ. დაარსდა კოოპერატ. წისქვილები. მაგალითის მიმცემი იყო ს. ლეხ. (ყველგან წისქვილების ქვის შენობაა) წევრად თავიდანვე იყო 100—150 კაცი თითო წისქვილში. მაგრამ დაინახეს რა მისი მნიშვნელობა და სარგებლობა, უკვე იწერებიან, როგორც გავიგე 4—5 წილს იღებენ, ოღონდ წევრად მიგვიღეთო. წყალი მდ. ცხენის-წყლიდანაა გადმოყვანილი.

ლეხ. თემში, ს. ონოღიაში არის საფონდო მიწა 100 ქცევა, რომელზედაც ხალხი მოითხოვს სამეურნეო სკოლის დაარსებას. მეტად სიმპატიური საქმეა. ყოველ შემთხვევაში ეს ადგილი უნდა დარჩეს თემს, ახლო მომავალში სამეურნეო სკ. ან საცდელი დაწესებულების დასაარსებლად. ამას იმედია სამაზრო ერობა და ადგილობრივიც მიაქცევს შესაფერ ყურადღებას. ჩემის ღრმა რწმენით სამეურნეო სკ. და საცდელი დაწესებულებებით უნდა მოიფინოს მთელი მაზრა და ხალხი ექსტენსიური მეურნეობიდან გადავიდეს ინტენსიურ მეურნეობაზე. განძრახულია გაიხსნას პროფესიონალური სახელოსნო და სხვა სასწ. ყველა საქმეს ხალხი ენერგიულად ეკიდება. თემს მიუძღვის შეგნებული ინტელიგენცია.

თემში წელს მოსავალი ნაკლებია, რასაც ადრე უნდა მიექცეს ყურადღება. ვენახები გაფუჩებულია, მართალია მოწამლეს, მაგრამ გამუდმებული წვიმების გამო განადგურებულია. მარტო მოწამვლას არა აქვს მნიშვნელობა, საჭიროა ცოდნა, რასაც მოკლებულია ხალხი. ზოგიერთებმა ვენახი აჭრეს და ყანად აქციეს, ვინაიდან გაფუჩდა, რაც სამწუხარო მოვლენაა და ყურადღება უნდა მიექცეს. თემში ინტენს. მეურნ. ნიადაგი მომზადებულია, აგრონომები კი არაა. როგორც ხედავთ თემი იქსელება კულტ. ეკონ. დაწესებ. ხალხი აღფრთოვანებით ეგებება.

სტუდ. პლატონ დანელია.

ფრონტისათვის

19, 20 ივლისს ქ. ახალციხეში გამართულ „ფრონტის დღიდან“ შემოვიდა:

1) 5906 მ ლატარიიდან და ბუფეტიდან (მივიღე ექ ჯინჯველაძისაგან 25 ივლისს.)

2) 1285 მან. ბუფეტიდან (მივიღე იმისგანავე 19 აგვისტოს.)

3) 1945 მან. ბუფეტიდან (მივიღე გვ. შტაბისაგან 15 ოქტ.)

4) 315 მან. 50 კაპ. ბენ ალის შემოწირულება (მივიღე 20 აგვისტოს.)

5) 565 მან. დარჩენილ ფქვილის და შაქრის ლიკვიდაციიდან.

სულ—10016 მან. 50 კაპ. (ათი ათას თექვსმეტი მან. 50 კაპ.)

ამ თანხიდან რვა ათას სამას ოთხმოცდა ათი (8390) მანეთი გავუგზავნე ფრონტის დღის მთავარ კომიტეტს (30 ივლისს 5850 მან. კვ. № 469 და 470; 24 აგვისტოს 2540 მან კვ. № 533) ხოლო დანარჩენ ათას ექვსას ოცდა ექვს (1626) მანეთს 50 კაპ. საფოსტო ხარჯის 68 მ. 50 კაპ. გამოკლებით, ამასთანავე გიგზავნით დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

ივ. ხელაძე.

თეატრი და მუსიკა

ოპერა მუშებისათვის.

შაბათს, 1 ნოემბერს, სახელმწიფო თეატრში დადგმულ იქნა ზ. ფალიაშვილის ცნობილი ოპერა „აბესალომ და ეთერი“, განსაკუთრებით მუშებისათვის. ჩემს მიზანს არ შეადგენს იმის გაცნობა მკითხველისათვის, თუ ვინ როგორ შეასრულა დაკისრებული როლი. მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ პირველ ნოემბერს, პირველათ გაიხსნა კარები სახელმწიფო თეატრს თფილისის პროლეტარიატისათვის.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა თხოვნით მიმართა სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციას, რომ ამ უკანასკნელს კვირაში ერთხელ დაეთმო თეატრი არსებული დასის შემადგენლობით თფილისის მუშებისათვის, რასაკვირველია დაკლებულ ფასებში, რითაც მუშებს საშუალება მიეცემოდათ დაეკმაყოფილებიათ თავიანთი ესთეტიური მოთხოვნილებანი. ასეთ დღეთ სეკრეტარიატმა აირჩია შაბათი, რადგანაც მეორე დღეს მუშები თავისუფალნი არიან, და ყველას საშუალება მიეცემა დაუბრკოლებლივ დასწრებისა.

თეატრის ადმინისტრაციამ კმაყოფილებით მოისმინა სეკრეტარიატის თხოვნა და გადასცა მათ თეატრი შაბათობით, ძლიერ იაფ ფასებში. ამ ღამეს ბილეთის ფასები იწყება სამი მანეთიდან და ადის ათ მანეთამდის, რაიც დღევანდელ ფულის კურსის დირებულების დროს ძლიერ მინამალური ფასებია.

პირველი ოპერა, როგორც ზევით აღვნიშნეთ დადგმულ იქნა 1 ნოემბერს. საღამოს 7 ნახ. საათზე თეატრის დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო. ფარდის ახდისას თეატრის ადმინისტრაციის სახელით დამსწრეთ მიესალმა თეატრის კომისარი ალ. წუწუნავა, შემდეგ თბილისის პროფეს. კავშირთა საბჭოს სახელით ალ. ხელაძე. ფოცხვერაშვილმა დამსწრეთ აუხსნა ოპერის შინაარსი, რითაც მუშებს გაუადვილა მისი გაგება. აღსანიშნავია ერთი გარემოება, ამ დღეს თეატრში სუფევდა სრული წესრიგი და სიწყნარე. ეს კი იმის მომასწავებელია რომ თფილისის პროლეტარიატი საკმარისათ გათვითცნობიერებულია.

შემდეგი ოპერა დაიდგმება შაბათს, 8 ნოემბერს. ბილეთების შეძენა შეიძლება თფილისის პროფესიონალურ კავშირებში, მსურველებმა უნდა მიმართონ კავშირის მდივნებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თბილისის მუშათა კლასი ამ გარემოებით ფართეთ ისარგებლებს და დაუმტკიცებს მის მოწინააღმდეგე კლასებს, რომ ხელოვნება, მუსიკა და სხვა ამ გვარი ესთეტიური გრძნობების დამაკმაყოფილებელი საგნები, მარტო მათ საკუთრებას არ შეადგენს და მათში წილი უდევს თვით პროლეტარიატსაც.

ს. ცხემლისხიდელი.

წერ. რედაქციის მიმართ

მასწავლებელ ო. რუხაძეს.

თქვენ მე გამომიწვიეთ სამედიატორო სამართალში. მე ამაზე დავთანხმდი. ეხლა ჩემის მხრივ მედიატორეთ ვასახელებ მასწავლებელ პ. მეტრეველს.

ე. თათრიშვილი.

— —

მოქალაქე რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პატივცემულ ჯგუფს, რომელმაც შემოსწირა ათასი მანეთი განსვენებული პატარა ირაკლი (ირა) პავლესძე მეტრეველის ხსოვნის აღსანიშნავად ქ. ზესტაფონის მე 2 პირველ დაწყებით სასწავლებელს საბავშო სამკითხველოს შესაძენად.

სასწავლებლის გამგე ვარლამ შარიქაძე.

ცნობები

თხოვნა მოსკოვიდან, პეტროგრადიდან და შიდა რუსეთიდან დაბრუნებულთა მიმართ: პეტროგრადის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, აკაკი სპირიდონის ძე სანოძე, რევოლუციის შემდეგ მსახურებდა ვასილევის კუნძულის პირველ სასურსათო კომიტეტის საქმის ძწარმოებლად და მუშაობდა ს. დ. მენშევიკების ორგანიზაციაში, 1918 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მისმა მშობლებმა და ნათესავებმა არა ვიცით რა. ვემუდარებით პეტროგრადიდან, მოსკოვიდან და შიდა რუსეთიდან დაბრუნებულთ, თუ რაიმე იციან მის შესახებ, გვაცნობონ პრესის საშუალებით, ან წერილობით შემდეგ ერთ ერთი მისამართით: ქიათურაში ანდრო კობიძეს, ხონში სპირიდონ სანოძეს.

განცხადებანი

რვეულები

მოწაფეთათვის, საუკეთესო ქაღალდისაგან იყიდება ბითუმათ და ცალობით. მისამართი: ვორონცოვის ძეგლის ახლო, ვ. მალხაზიანის მაღაზია.

(2752—10—5)

კბილის ექიმი
ე. მ. მიხაშრი-მხაკიანი
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი **ა. დ. ბუჩაიაშვილი**
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს).

(2795—თ.)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მიხაძანიანი**
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიჩვა და წამლობა X სხივებით, დიდი სოლენოიდი და არსენვალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი **ბ. ი. მირიანაშვილი.**
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. მე-2 ე სახლი ანდრეევის (№ 74, ბინა № 1) და ვაგზლის ქუჩების კუთხიდან. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ბორჯომში მოგზაურობის დროს 1-ლ ოქტომბერს დავკარგე სამუდამო პასპორტი მოცემული 1910 წ. ქუთაისის მაზრის გომის საზოგადოების კანცელარიიდან იუსტინე მალაქიას ძე ალფაიძის სახელზე, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად.

(2853—1—1)

ექიმი **არუთინოვი.**
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება. შინაგან სნ. ავათმყოფების დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. ვენერიულის (სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები) კაცების საღამოს 5—6 საათ. ქალების საღ. 6—7 საათ. „914“ „606“ შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა

(თ. 2816)

ექიმი **ივ. ბოკერია**
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და სააკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95.

(თ. 2744)

ექიმი **დ. ს. ჯაშარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—85

ექიმი **ა. ლევენშტეინი**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათა. **რენტგენის სხივები.** კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

დოქტორი **როზენდიუხ მაქარი.**
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაზერეჟნაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

ოზურგეთში
ექიმი **ს. გ. აბაშიძე**
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სნ. ფილტვების, გულის, კუჭის და [illegible]

ექიმი **ი. ჩიქავაძის** ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ მიკროსკოპიული **ლაბორატორია**
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, Opermeyer-ის სპიროქეტები და [illegible] შარდის, განავლის, ნახველის, რძის, რწყის, ჩირქის, ხერხემლის ტვინის ხის, კუჭის სითხის და სხვა. აუტოვაქცინური ვაქცინები. 26 მაისის [illegible] ქუჩა. გაბაიძის შესახვევი № 3. სახლი მიიღება დილის 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი **ხიხარიძე ჰაქოვი**
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—21

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მოსხი
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი ელექტრო-სხივებით [illegible] ნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონ[illegible] ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ. საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფებს არ მიიღებენ. მიხეილის (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—

ექიმი **დ. ნ. ჯავახიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პრ. № 64. (სავათმყოფოს ახლოს) ტელ. 14—60. (თ.—286

დოქტორი **ი. მ. ჰამბურგერი.**
სისხლის გამოკვლევა სიფილისი (Wasserman-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიაზე, [illegible] გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახ. დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ. საღ. 5 საათ. დიფტერიტზე მიიღება [illegible] 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № ტელეფონი 16—82.

ექიმი **ზ. ტ. მაჩაბელი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე განოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ა. ხარაძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—8 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 8 [illegible] აუდიტორიის ახლო.

დოქტორი **ვ. [illegible]**
თვალის ავათმყოფობანი. [illegible] თვალებს. მიღება 8—12 საათამდე [illegible] საღ. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 31

ექიმი ქალი **რ. ბ. [illegible]-ხაბაშვილი**
მედიცინის დოქტორი [illegible] სიტეტისა და [illegible] კოლეგიისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ [illegible] **ხაფიდილის წამლობა** (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. [illegible] ნოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—

ექიმი **იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფ[illegible] საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. [illegible] ხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი **ა. ნ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვ[illegible] სა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი **ა. დ. [illegible]**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4— ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვ“ პირდაპირ № 116. ტელ. 14—28

ქართულ. სომხურ და თათრულ პირველ დაწყებით სახ. სკოლებისთვის ერობა
იწვევს მასწავლებლებს
ჯამაგირი თვეში 1200 მან ბინით, განათებით და გათბობით: აგრეთვე იწვევს გამგე—მასწავლებელს ქართულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლისთვის, ჯამაგირი თვეში 1900 მან ბინა. გათბობა, განათება, მსახურით.
თფილისის მაზრის ერობის გამგეობა. (2902—1—1)

მეოთხე რაიონული კოლექტივი
ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, საღ, 6 ს. ვერის მუშათა კლუბში იწვევს ს. ს. დ. პ. თფ. ორგ. მეორხე რაიონის პარტიის წევრთა
საზოგადო კრებას
დღის წესრიგი: 1) მოხსენება კოლექტივის ხუთი თვის მუშაობის შესახებ (აპრილიდან—სექტემბრამდე), 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) მიმდინარე კითხვები. ეს კრება გაგრძელებაა გასული ხუთშაბათის კრების და კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.
მე-4 რაიონული კოლექტივი. (უფ. 2—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ **ობოლი მუშის**
ახალი პოემა
„წამების ჯვარზე“
(უფ —4—4)